



შირაკი

SHIRAKI

გამოცემის 1937 წლიდან
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№33 (9.992)
11-18 სექტემბერი 2021 წელი
ფასი: 60 თეთრი
ყოველკვირეული გამოცემა



...როცა ადგილობრივი თემი იცავს, მართავს და სარგებლობს



დამშრალი ტბის ნაპირას მარილიანი დანატოვარია, ძირს დაყრილ საყოფაცხოვრებო ნარჩენსა და პოლიეთილენის პარკებს ქარი აქა-იქ შემორჩენილ, ნაძვის გამხმარ ტოტებს აყრის, მინა დახეთქილია გვალვისაგან...

ეს დედოფლისწყაროს რეალობაა. გაუდაბნოება, რომელსაც ხელი ადგილობრივმა მოსახლეობამ გარემოზე მომხმარებლური დამოკიდებულებით შეუწყო, სულ უფრო ხელშესახები ხდება. ტყის გაჩეხვამ, ნაკვეთების გადანვის მავნე პრაქტიკამ და ქარსაფარების განადგურებამ, თავისი უარყოფითი ასახვა უკვე ჰპოვა გარემოზე. წყლის დეფიციტი ყველაზე მტკივნეულია იმ პრობლემებს შორის, რომელსაც დედოფლისწყაროელები განიცდიან. ასეთი ადგილები ტურისტებს არ იზიდავს. არც ადგილობრივ მაცხოვრებლებს. ამიტომაც მაალაია მიგრაცია. ადგილობრივი ხელისუფლების მცდელობის მიუხედავად, რაც მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას გულისხმობს, ახალგაზრდობა დიდ ქალაქებში რჩება და მშობლიურ რაიონს არ უბრუნდება. ამბობენ, რომ აქ დასაქმების პრობლემაა.

საქართველოს „პურის ბელეს“- შირაქის მინებს სხვები ყიდულობენ, ბევრი მამა-პაპისეულ სახლებსაც ყიდის... ივინყებენ ტრადიციულ მეცხოველეობას და მიწათმოქმედებას.

ქარი ნაპარღოვს მიტოვებულ ნა-

სახლარებზე და სეველიან სიმწერას მღვირის.

დედოფლისწყაროში, ვაშლოვანის ნაკრძალი, წლების წინ რაიონისა და სამშობლოს პატრიოტებმა შეინარჩუნეს. გადაარჩინეს იქ არსებული ფლორა და ფაუნა. დღეს ვაშლოვანი საქართველოს სავიზიტო ბარათია სხვადასხვა ქვეყნის მოგზაურობის მოყვარულთათვის. ტურისტებს ყველაზე მეტად ველური ბუნება იზიდავთ.

დედოფლისწყაროში არსებული დაცული ტერიტორიები ტურიზმის განვითარებისთვის საუკეთესო საშუალებაა. ახლა ჩვენს მუნიციპალიტეტში ბიოსფერული რეზერვატი იქმნება, რომელიც ტურიზმის განვითარებისა და მოსახლეობის ეკონომიკური გაძლიერების პერსპექტივას ქმნის.

ტურიზმის ასოციაციის წარმომადგენელი ნატა ბახტაძე ამბობს, რომ ბიოსფერული რეზერვატის პირობებში, მთავარი აქტორი არის ადგილობრივი თემი - ის იცავს, მართავს და სარგებლობს. ადამიანებმა უნდა გაიაზრონ ბუნებასთან ჰარმონიული თანაცხოვრება. დანერგონ ისეთი ცხოვრების წესი, რომელიც გარემოს დაცვასთან ერთად მათ ეკონომიკური გაძლიერების შესაძლებლობას მისცემს.

ნატა ბახტაძე, საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაცია : „მოდით დავინყოთ

იქიდან, რომ ბიოსფერული რეზერვატის სტატუსის მინიჭება არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ განსაკუთრებულები ვართ ან არ ვართ. ამ სტატუსის მინიჭება ნიშნავს, რომ ჩვენ, რომლებსაც გვაქვს ამისთანა ღირებულებები დაცული ტერიტორიების სახით, ვიცავთ და ვმართავთ მათ სწორად.

ეს არის ბიოსფერული რეზერვატის არსი. ამ შემთხვევაში არა მარტო დაცული ტერიტორია იმართება, არამედ იმართება გარემო ტერიტორიაც, სადაც ადგილობრივი თემი არის ძირითადი აქტორი. გარემოს იცავს ადგილობრივი თემი და არა ცენტრალური ხელისუფლება ან რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაცია. ეს არის აქ მთავარი ადგილობრივი თემი იცავს, მართავს და სარგებლობს.

ბუნებრივია, ასეთი მიდგომა როდესაც არსებობს, ტურიზმის კუთხით, როდესაც ღირებულება გაქვს, შენ თვითონ მართავ და გეგმავ- ტურიზმის განვითარებისთვის ეს საუკეთესო ვარიანტია.

მთავარი ამ შემთხვევაში არის ერთი რამ-თუ ადგილობრივი თემი არ დაიცავს იმ ღირებულებებს ისე, რასაც მოითხოვს ბიოსფერული რეზერვატის სტატუსი, რა წამს ჩვენ დავინყებთ ისეთი ტურიზმის განვითარებას, რომელიც აზიანებს გარემოს, მაშინ ბუნებრივია, დავკარგავთ სტატუსსაც და განვითარების პერსპექტივასაც.

ადამიანებმა უნდა გაიაზრონ ბუნებასთან ჰარმონიული თანაცხოვრება. დანერგონ ისეთი ცხოვრების წესი, რომელიც გარემოს დაცვასთან ერთად მათ ეკონომიკური გაძლიერების შესაძლებლობას მისცემს.

დედოფლისწყაროში იყო მაღალკენის სახლები, რომლებიც დღეს, ფაქტობრივად, აღარ არსებობს. რა წამს ის იყიდა ახალმა მფლობელმა, შეუცვალა სტრუქტურა, ფორმა... სულ რამდენიმე სახილავი დარჩენილი, რომელსაც ძველი სახე აქვს შენარჩუნებული. ესაა სწორედ იმისი მაგალითი, თუ როგორ არ უნდა მოვექცეთ გარემოს, ჩვენს ტრადიციებს.

ახლა, ბიოსფერული რეზერვატის ფარგლებში, ტურიზმის ძირითადი თემა არის არამატერიალური ტრადიციების შენარჩუნება, რომელიც აკავშირებს ამ ორ ბიოსფერულ რეზერვატს- სამი ალაზნის და დედოფლისწყაროსას. ესაა მეცხვარეობა. მეცხვარეობა იყო თუშეთშიც და ელდარშიც. ახლა გადაბმულები არიან, რადგან ზემოდან, ანუ თუშეთიდან დაბლა ჩამოჰყავთ ცხვარი. მთავარი, რაც ჩვენ გავაკეთეთ, ეს არის სწორი ინტერპრეტაცია. მეცხვარეობა არის აგრონომიული აქტივობა, რომელსაც კონკრეტული სარგებელი მოაქვს უშუალოდ ფერმერისთვის. მაგრამ მასთან რამდენი არამატერიალური ტრადიციაა მიბმული, ამის გააზრებაზე და

/გაგრძელება გვ.3/

ირაკლი ღარიბაშვილი - შეხედეთ ჩვენს ოპონენტებს, არაფინ საუბრობს არც ხვალინდელ დღეზე, არც ხედვებზე...

ჩვენ კარგად ვიცით, რომ ჩვენი ხალხის მთავარი გამოწვევა უმუშევრობა და სიღარიბეა, ჯერ კიდევ მწვავე გამოწვევად რჩება სიღარიბე და უმუშევრობა, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა „ქართული ოცნების“ დუშეთის მერობის კანდიდატის, მანანა ნარიშვილის წარდგენისას განაცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, ყველა ის პროექტი და პროგრამა, რომელიც განხორციელდება, სწორედ ამ მთავარი გამოწვევის, მთავარი მტრის დასამარცხებლად უნდა იყოს გამოიზრდილი და ორიენტირებული.

„ჩვენთვის არ არსებობს სხვა გამოწვევა, გარდა ოკუპაციისა, სიღარიბისა და უმუშევრობისა. ამ სამ მთავარ გამოწვევაზე უნდა ვკონცენტრირდეთ და ფოქრობ, სიღარიბისა და უმუშევრობის დაძლევა ჩვენ აუცილებლად დავძლევთ ოკუპაციის გამოწვევასაც, იმიტომ, რომ ჩვენი ქვეყანა უნდა გახდეს და ასეც არის, უალტერნატივო პერსპექტივა ჩვენი აფხაზი და ოსი ძმებისთვის. შეხედეთ ჩვენს ოპონენტებს, არაფინ საუბრობს არც ხვალინდელ დღეზე, არც გეგმებზე, არც ხედვებზე, რადგან არ გააჩნიათ. მათი ერთადერთი მიზანი არის ხელისუფლებაში დაბრუნება, რაც თეორიულადაც კი გამორიცხულია, რადგან ჩვენი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა, 70%-ზე მეტი, 75% არის წინააღმდეგი ყოფილი ხელისუფლების და მათი ჯალათების. მათ ერთხელ უკვე დაანგრეს ჩვენი ქვეყანა და მეორედ ამის განმეორების უფლებას არ მივცემთ. ამიტომ ჩვენ მშვიდად, მტკიცედ უნდა გავაგრძელოთ ჩვენი ქვეყნის მართვა და განვითარება. განვითარება უნდა შევიდეს ყველა ქალაქში, რეგიონსა და მუნიციპალიტეტში. ვგეგმავთ ძალიან მასშტაბური პროექტების დაწყებას. სოფლის მეურნეობის მიმართულებით 7 მილიარდი ლარის დახარჯვას გეგმავს მთავრობა მომდევნო წლების განმავლობაში. ეს სიკეთე გადაიხადება რეგიონების მიხედვით.“

თითოეულ მუნიციპალიტეტს მოვარგებთ პროექტებსა და პროგრამებს, რომელიც იქ არსებულ გამოწვევებს გადაჭრის, ასევე გათვალისწინებული იქნება ის რესურსები და პოტენციალი, რომელიც თითოეულ მუნიციპალიტეტში არსებობს. ჩემი დავალებით ვმუშაობ, რომ ყველა მუნიციპალიტეტში შექმნას, განახლდეს, როგორც ძველი, ასევე ახალი ტურისტული მიზიდულობის ცენტრები, რომ მეტი დამსვენებელი მოვიზიდოთ, ნავახალისოთ როგორც შიდა ტურიზმი, ასევე გავზარდოთ გარედან ტურისტების რაოდენობა. 2,5 მილიარდი ლარი დაიხარჯება მომდევნო 3 წლის განმავლობაში ადგილობრივი წარმოების განვითარების კუთხით, ეს არის 1300 ახალი საწარმოს დაფინანსება და ჩვენი გათვლებით, მინიმუმ 100 ათასი ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნება. ამ პროექტებსა და პროგრამებსაც ასევე გადავანაწილებთ რეგიონების მიხედვით, ისე, რომ ერთ რომელიმე კონკრეტულ რეგიონში არ იყოს თავმოყრილი ეს სიკეთეები“, - განაცხადა პრემიერმა.

ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, 800 სკოლის რეაბილიტაცია იგეგმება ერთიანი ევროპული სტანდარტის მიხედვით, იმისთვის, რომ მომავალმა თაობებმა ჯანსაღ, ევროპული ტიპის სკოლებში მიიღონ განათლება.

„ძალიან ამბიციური გეგმები გვაქვს თუნდაც ინფრასტრუქტურის მიმართულებით. 32 მილიარდი ლარის დახარჯვას გეგმავს მთავრობა მომდევნო წლების განმავლობაში გზების, ხიდების მშენებლობის დასაფინანსებლად. ასევე მინდა აღვნიშნო ურბანული განახლების პროგრამა, რომელიც დავიწყეთ და დღემდე მივდივართ, ძალიან მალე იხილავთ ხელშესახებ პროგრესს და სიკეთეს, რომელიც ჩვენი დაფინანსებით ხორციელდება. თანდათანობით ჩვენ უნდა გარდავქმნათ და ევროპული ტიპის ქალაქებად ვაქციოთ ყველა ქალაქი და მუნიციპალიტეტი. ჩვენი ღრმა რწმენით, ამ ყველაფრის შედეგად ქვეყანა გარდაიქმნება და რეალურად შეიძლება გახდეს მართლაც სამაგალითო, ევროპული ტიპის ქვეყანა. ასეც არის, გვაქვს უნიკალური ქვეყანა თავისი გამორჩეული ბუნებით, პოტენციალით, რესურსებით და გამორჩეული ხალხით“, - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ეპიდსიტუაცია დედოფლისწყაროში

„დედოფლისწყაროში ეპიდემიოლოგიური სიტუაცია სტაბილურობისკენ მიდის“-ამის შესახებ მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში განაცხადეს. მაგრამ არსებული მდგომარეობა ჯერ სიმშვიდის საფუძველს არ გვაძლევს, ამბობენ ეპიდემიოლოგები, რადგან კოვიდინფიცირების დღიური მაჩვენებელი სამ ათეულს ითვლის. პანდემიის პერიოდში დედოფლისწყაროში სულ 2350 შემთხვევა და-ფიქსირდა, მათგან გამოჯანმრთელდა 1984 პაციენტი, გარდაიცვალა - 30 პირი. ამ დროის მონაცემებით დედოფლისწყაროს საავადმყოფოში მკურნალობს 37 კოვიდდავლებითი პაციენტი, იზოლაციაში იმყოფება-513.

პროკურორის არჩევის წესის გარდა, საკონსტიტუციო ცვლილებებს პარლამენტმა პირველი მოსმენით მხარი დაუჭირა

პარლამენტმა მხარი დაუჭირა კანონპროექტს კონსტიტუციაში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით, ერთი პუნქტის - გენერალური პროკურორის არჩევის წესის გამოკლებით. ცვლილებას მხარი 126-მა დეპუტატმა დაუჭირა, წინააღმდეგ კი არაფინ წასულა. საკონსტიტუციო ცვლილებისთვის დაწესებული კვორუმი 113 ხმაა. კანონპროექტი გულისხმობს საკონსტიტუციო ცვლილებებს საარჩევნო ბარიერის, ფრაქციების შექმნისა და გენერალური პროკურორის არჩევის წესის შესახებ. კონკრეტულად, პროექტის მიხედვით, მომავალ ორ საპარლამენტო არჩევნებში ბარიერი ბუნებრივად და 2%-ს შორის უნდა იყოს, ხოლო ფრაქციის ჩამოსაყალიბებლად საკმარისი უნდა იყოს მინიმუმ 4 წევრი, მათ შორის, მაჟორიტარები.

რაც შეეხება გენერალური პროკურორის არჩევის წესს, მიშელის დოკუმენტის შესაბამისად, ის გულისხმობდა საპროკურორო საბჭოს მიერ წარდგენილი კანდიდატის არჩევას ე.წ. კვალიფიციური უმრავლესობის, ანუ პარლამენტის სრული შემადგენლობის 3/5-ის, ანუ 90 დეპუტატის თანხმობის საფუძველზე. ამგვარი წესით არჩევის ორი ნარუმატებელი მცდელობის შემდეგ კი პროკურორი უბრალო უმრავლესობით, 76 დეპუტატის თანხმობის საფუძველზე აირჩეოდა. 76 ხმით არჩეული პროკურორის უფლებამოსილების ვადა 1 წლით იყო განსაზღვრული. პროექტის მიხედვით, ერთი წლის შემდეგ პროკურორის არჩევის სტანდარტული პროცედურა ხელახლა უნდა დაიწყოს.

მმართველ პარტიასა და ოპოზიციის ნაწილს შორის აზრთა სხვადასხვაობა სწორედ გენერალური პროკურორის არჩევისთვის საჭირო ხმათა რაოდენობაზეა - ოპოზიციამ ფიქრობენ, რომ მხოლოდ ეს ცვლილება არ არის საკმარისი ამ ინსტიტუტის დამოუკიდებლობის აღიარებისთვის, თუმცა, აცხადებენ, რომ ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია შესრულდეს მიშელის დოკუმენტით განსაზღვრული დებულებები. გარდა ამისა, ოპოზიციამ აცხადებენ, რომ რაც უფრო მეტი დეპუტატი თანხმობა იქნება საჭირო გენერალური პროკურორის ასარჩევად, მით უფრო მეტი ლეგიტიმაცია ექნება არჩეულ კანდიდატს. მმართველი პარტია მხარს უჭერს გენერალური პროკურორის არჩევას მხოლოდ 76 დეპუტატის თანხმობის საფუძველზე. პარტიის თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის განცხადებით, ევროკავშირის წევრ ქვეყნებშიც თანამდებობის პირებს უბრალო უმრავლესობით ირჩევენ. ქართული ოცნების კიდევ არგუმენტი ეხება კანონპროექტის იმ ნაწილს, რომლის მიხედვითაც კვალიფიციური უმრავლესობით ორჯერ ვერარჩევის შემთხვევაში, მესამედ, 76 ხმით არჩეული პროკურორის უფლებამოსილების ვადა მხოლოდ ერთი წელია.

„ეს რეგულაცია არსებითად უპირისპირდება ინსტიტუტის დამოუკიდებლობის პრინციპს. კონსტიტუციურ სამართალში არის მარტივი პრინციპი, რომ რაც უფრო ხანგრძლივია თანამდებობის პირის ან ორგანოს უფლებამოსილების ვადა, მით უფრო მაღალია მისი დამოუკიდებლობის ხარისხი“, - განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

მმართველი პარტიის პოზიციას იზიარებენ პარტია მოქალაქეების წარმომადგენლებიც. ვიცე-სპიკერის, ლევან იოსელიანის თქმით, გენერალური პროკურორის ამგვარი წესით არჩევა სამომავლოდ ბევრად უფრო დამაზიანებელი იქნება სასამართლო სისტემისთვის.

ხარვეზები კონსტიტუციის ცვლილების პროექტში - სოციალური სამართლიანობის ცენტრის შეფასება ნაციონალური მოძრაობის დეპუტატმა თინა ბოკუჩავამ ირაკლი კობახიძეს, რომელიც კანონპროექტის ერთ-ერთი ავტორია პკითხა, საერთოდ რატომ ჩანერა ეს პუნქტი დოკუმენტში, თუ მას არ ეთანხმება. მსგავსი პათოსი ჰქონდა ლელოს დეპუტატ ანა ნაცვლიშვილსაც, რომელმაც კობახიძეს პკითხა თვენახევრის წინ ცრუობდა, როცა კანონპროექტი ამ სახით დაინიჭირა, თუ ახლა ცრუობს, როცა თავისივე ინიციატივას ეწინააღმდეგება.

კობახიძემ კოლეგებს უპასუხა, რომ ამ პუნქტის ჩანერას კანონპროექტში ოპოზიციამ მოითხოვა და მან ეს პოლიტიკური სიტუაციის განსაზღვრულ გავაკეთა, თუმცა ახლა მხარს არ დაუჭერს. მან გენერალური პროკურორის არჩევას კვალიფიციური უმრავლესობით „სამართლებრივი სიმპიხივე“ უწოდა და განაცხადა, რომ მისი ჩანერა კონსტიტუციაში ქვეყნის შეურაცხყოფაა. მას შემდეგ, რაც ოპოზიციონერმა კოლეგებმა შეახსენეს, რომ ეს ვენეციის კომისიის რეკომენდაციებშიც იყო განსაზღვრული, მან თქვა, რომ ეს იყო „არაკორექტული რეკომენდაცია“.

„ვენეციის კომისიაც არის ინსტიტუცია და მასაც აქვს სამართლებრივი კოდეტი. ესეც იყო ერთ-ერთი არაკორექტული რეკომენდაცია, რომელიც თავი დროზე წარმოგვიდგინა. ასეთი სხვებიც იყო წლების განმავლობაში, თუმცა ესეც იყო, სადაც ექსპერტები ცდებიან ხოლმე და ექსპერტები ამ შემთხვევაში შეცდნენ“, - განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

კანონპროექტის განმარტებით ბარათში ვკითხულობთ, რომ მისი მიზანი შარლ მიშელის დოკუმენტში განსაზღვრული დებულებების კონსტიტუციაში ასახვაა. აღსანიშნავია, რომ ირაკლი კობახიძემ რამდენჯერმე ხაზგასმით განაცხადა, რომ მიშელის შეთანხმების ანუღირების შემდეგ ამ ცვლილებებზე მსჯელობა მმართველი პარტიის „კეთილი ნების გამოხატულება“.

შეეძლება თუ არა 4 ოქტომბრამდე დაბადებულ ბავშვებს სკოლაში მოხვედრა?

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციით, პირველკლასელები სწავლას 15 სექტემბერს დისტანციურ ფორმატში აღარ დაიწყებენ. მათივე განმარტებით, 4 ოქტომბრიდან დასწრებით ფორმატში, საკლასო ოთახებში აღდგება სწავლა იმ ქალაქებსა და სოფლებში, სადაც ინფიცირების მაჩვენებელი სწავლის დაწყების მომენტისთვის 4%-ზე დაბალი იქნება.

როგორც ცნობილია, 2021-2022 სასწავლო წლისთვის სკოლებში დარეგისტრირება შეეძლო ბავშვებს, რომლებსაც 6 წელი 15 სექტემბრის ჩათვლით უსრულდებოდათ. იქიდან გამომდინარე, რომ სწავლის დაწყების თარიღი შეიცვალა და 4 ოქტომბრამდე გადავადდა, ბევრ მშობელს გაუჩნდა შეკითხვა, ის ბავშვებიც ხომ ვერ შეძლებენ კერძო ან საჯარო სკოლაში მოხვედრას, ვინც 4 ოქტომბრამდე

გახდება 6 წლის. შეკითხვით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მივმართეთ:

„რეგისტრაციის წესში ცვლილება არ შესულა. შესაბამისად, ვერც საჯარო და ვერც კერძო სკოლა 15 სექტემბერის შემდეგ დაბადებულ ბავშვებს ვერ მიიღებს.“ - აცხადებენ უწყებაში.

„სკოლები უნდა იყოს პირველი, რაც გაიხსნება და ბოლო“...

ქ. თელავში, ერეკლე მეფის სასახლის ეზოში, გაეროს ბავშვთა ფონდისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლების მიერ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, კახეთის სამხარეო ადმინისტრაციისა და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ჩართულობით, ცნობიერების ამაღლების მიზნით, კახეთის რეგიონის საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენლებთან ჩოვიდ-19-ის ვაქცინაციის შესახებ საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა.

საინფორმაციო შეხვედრას უძღვებოდნენ - კახეთის სახელმწიფო რწმუნებული, ირაკლი შიოშვილი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე, ეკატერინე დგებუაძე, თელავის მუნიციპალიტეტის მერი, შოთა ნარეკლიშვილი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიის დეპარტამენტის პროფესორი, ივანე ჩხაიძე, კარდიოლოგიური სამსახურის ხელმძღვანელი, გულის უმკარისობის ასოციაციის პრეზიდენტი, ზვიად ყიფიანი, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე, პაატა იმნაძე და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის უფროსი, ხათუნა ზახაშვილი.

„სკოლები უნდა იყოს პირველი, რაც გაიხსნება და უკანასკნელი, რაც დაიკეტება. ვირუსის გადაცემის რისკის ადგილობრივ დონეზე შეფასება უნდა იყოს მთავარი განსაზღვრული სასკოლო საქმიანობის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას,“-აღნიშნა გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელმა საქართველოში, ლასან ხალილმა.

გაეროს ბავშვთა ფონდისა და მთავრობის ერთობლივი კამპანიის ფარგლებში გამართული საინფორმაციო შეხვედრის დასრულების შემდეგ, კახეთში მასწავლებლებმა ჩოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია ჩაიტარეს.ვაქცინაცია დაიკვივას მასწავლებლებს ვირუსისგან, მისცემს ბავშვების პირისპირ სწავლების საშუალებას და ხელს შეუწყობს სკოლების გახსნას.

საქართველოს ბანკის ფილიალზე თავდასხმა მოხდა

ყვარელში, „საქართველოს ბანკის“ ფილიალზე თავდასხმის საქმეზე დაკავებული შალვა მელიქიშვილი თელავში, კახეთის პოლიციის სამხარეო დეპარტამენტის შენობაში მიიყვანეს. მას საჯარაუდოდ, წინასწარი დაკავების იზოლაციაში მოათავსებენ.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ შალვა მელიქიშვილი ყვარელში „საქართველოს ბანკის“ ერთ-ერთ ფილიალზე თავდასხმის, ტერორისტული მიზნით მძევლად ხელში ჩაგდება და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნა-შენახვა-ტარების ბრალდებით დააკავა.

გამომიებით დადგინდა, რომ შეიარაღებული შ.მ. ყვარელში, ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე „საქართველოს ბანკის“ ფილიალში დღის მეორე ნახევარში შეიჭრა და დიდი ოდენობის თანხის დაუფლების მიზნით 13 პირი მძევლად აიყვანა.შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებსა და თავდაცმსხელს შორის განხორციელებული მოლაპარაკებების შედეგად, შ.მ.-მ მძევლად აყვანილი ყველა ადამიანი ეტაპობრივად გაათავისუფლა, რის შემდეგაც სამართალდამცველებმა ის ბრალდებულის სახით ადგილზე დააკავეს. მომხდარის შედეგად არაფინ დაზარალებული. მომხდარ ფაქტზე გამოიძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე, 323-ე და 329-ე მუხლებით მიმდინარეობს.

...როცა ადგილობრივი თემი იცავს, მართავს და სარგებლობს

/პირველი გვერდიდან/

შენარჩუნებაზე საუბარი. მაგალითად, ის, რომ ძველად აქ იკვრებოდა ნაბდეები, მზადდებოდა თეკა, კეთდებოდა ყველის ნაირსახეობა ადგილობრივების მიხედვით - ესაა სწორედ ის, რისი შენარჩუნებაცაა საჭირო, რაც საინტერესოა ტურისტებისთვის, და არა მარტო ხინკლის მოხვევა და ჩურჩხელეების ამოვლება, როგორც ფორმაც ახლა აქვს ტურიზმს.

ესაა ძირითადი არსი იმ ტურიზმის, რომელიც თვისობრივად თავიდან გოლომდე დაკავშირებულია იმ ღირებულებებთან, რომელსაც იცავს თვითონ ბიოსფერული რეზერვუარის ფორმა.

ბიოსფერული რეზერვუარის სტატუსის მოპოვება არაა იუნესკოზე დამოკიდებული. ეს მთლიანად ჩვენზეა, იმ ადგილობრივ თემზე და მის ქვეყანაზე, რომელიც დამოკიდებულია, რომელიც აქ ცხოვრობს.

მეორე საფეხურზე იმ ხარისხის ნიშნის მოპოვება, რომელიც ახლავს თან დაცული ტერიტორიების ამ ფორმას.

გუნებრივი, რაც იქნება ამ წარმოდგენილი, უკვე სხვანაირი ღირებულება ეძლევა. ეს არის კონსტანტირებული ფაქტი იმის შესახებ, რომ ეს პროდუქტი არის ბიოსფერული რეზერვუარის შემადგენელი და არის ბიოლოგიურად სუფთა, და აქედან გამომდინარე, საკმაოდ მოთხოვნადი და ძვირი.

ბიოსფერული რეზერვუარის სტატუსის მინიჭებას დადებითად აფასებს მანანა ყაბაშვილი, თუმცა თვლის, რომ ადგილობრივ მოსახლეობასთან, ინფორმირებულობის თვალსაზრისით, საკმაოდ დიდი სამუშაოა ჩასატარებელი.

მანანა ყაბაშვილი, დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე:

კლიმატის ცვლილება და გარემოს დეგრადაცია მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს როგორც მთელი მსოფლიოსთვის, ისე-საქართველოსთვის. კლიმატის ცვლილების და გლობალური დათბობის შედეგების უარყოფით გავლენას რამდენიმე წელია, განიცდის ყველა დედოფლისწყაროელი. ისინი ხედავენ, რომ დეფიციტურია სასმელი წყალი, რაიონის უდიდეს ფართობზე, პრაქტიკულად, არ არსებობს საირიგაციო სისტემა, ფერმერები ვერ იღებენ მაღალ მოსავალს, გადაამხარია საძოვრები და ა. შ.

კლიმატის ცვლილება იწვევს უსასიეროების პრობლემას, რამაც უკვე დაიწყო ტერიტორიების, ბიოსფერული რეზერვუარის შექმნა, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის კონსერვაციას ჩართულობას ბარამოზე ზარუნის და მისი დაცვის ღონისძიებებში მათი აქტიური მონაწილეობის გზაზე.

დედოფლისწყაროში და კახეთში ამჟამად დაინტერესებული მხარეების: მუნიციპალიტეტების, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების და ბიზნესების ჩართულობით მიმდინარეობს მუშაობა, რათა UNESCO-ში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტმა მოიპოვოს ბიოსფერული რეზერვუარის სტატუსი.

ბიოსფერული რეზერვუარის საერთაშორისო სტატუსი, რომელიც მსოფლიოს ამცნობს, რომ დედოფლისწყაროში ზრუნავენ გარემოზე, აქ პირველქმნილი სახით შემორჩენილი ბუნებაა და ჯანსაღ საკვებასაც სთავაზობენ სტუმრებს. შესაბამისად, ძალიან ფართო პერსპექტივა ჩნდება ტურიზმის განვითარებისთვის. ჩვენმა მოსახლეობამ ვერ არ იცის, რამდენი სასარგებლო და შემოსავლიანი ბიზნესის წამოწყება შეუძლია, თან არც თუ ხშირად, ამისთვის დიდი თანხაც კი არ არის საჭირო.

ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებასთან ერთად, ბიოსფერულ რეზერვუარს

და დაცულ ტერიტორიებს მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებელი მოაქვს ადგილობრივი მოსახლეობისათვის, რადგან მათ უზრუნველყოფს შესაძლებლობა, განავითარონ ბიზნესები ტურისტების კვებითი, სატრანსპორტო, განთავსების, გიდების და სხვა მომსახურების მიმართულებით. შესაძლებელია ადგილობრივი პროდუქტების ისეთი ბრენდების შექმნა, რომელიც ხაზს გაუსვამს ბიოსფერულ რეზერვუარში მის წარმომავლობას, იძლევა ხარისხის და სისუფთავის სიჯანსაღის გარანტიას, აქვს შესაბამისი



მაღალი ფასი, რითაც წარმოების მდგრადობასაც უზრუნველყოფს, იქმნება ადგილობრივი პროდუქტისადმი მომხმარებლის ნდობის მაღალი დონეც.

ბევრია სამუშაო მოსახლეობასთან მათი ინფორმირებულობის და ცნობიერების ამაღლების მიმართულებით: ბიოსფერული რეზერვუარში ადამიანებმა ბუნებასთან მჭიდროდ უნდა ითანამშრომლონ, რადგან მისი გაფრთხილების გარეშე დაიკარგება გარემოს მიმზიდველობა ვიზიტორებისთვის და შესაბამისად, დაიკარგება მათი ბიზნესების მომხმარებელიც. ადამიანებს უნდა ვასწავლოთ, რომ მხოლოდ მათი ურთიერთშეთანხმებული მოქმედებით არის შესაძლებელი საერთო საქმის კეთება მდგრადი განვითარების მიმართულებით.

მიმდინარე წელს ჩვენი ასოციაცია ესტონეთის სოფლის ტურიზმის ასოციაციასთან ერთად განახორციელებს პროექტს „სოფლის ტურიზმის პროდუქტის განვითარება დედოფლისწყაროს რაიონში, საქართველოში“. პროექტის განხორციელების პერიოდია 01.10.2021-30.09.2023 წლები, ხოლო მიზანი - დედოფლისწყაროს რაიონში ტურისტული სერვისებისა და პროდუქტის ხარისხის დონის ამაღლება ადგილობრივი ტურისტული მენარმეების ცნობიერების ამაღლების, ცოდნისა და უნარების გაუმჯობესების გზით.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ადგილობრივი მენარმეების სწავლება, პრიორიტეტულია პროექტში ახალგაზრდების და ქალი მენარმეების ჩართვა, ტურისტული სერვისებისა და პროდუქტების ხარისხის მართვის ადგილობრივი ექსპერტების მოზარდობა, ხარისხის კონტროლის უზრუნველყოფა და შესაბამისი ღონისძიებების მოზარდობა ინტელისურ და ქართულ ენაზე, ხარისხის სისტემის ვიზუალური იდენტიფიკაციის შექმნა, თანამედროვე ტურისტული

პროდუქტის შექმნა, განვითარება და გაყიდვა -სასწავლო პროგრამა სოფლის ტურიზმის მენარმეებისთვის, სასწავლო ვიზიტი ესტონეთში ქართული ჯგუფისთვის, პრაქტიკული სახელმძღვანელო მოზარდობა ხარისხის კონსულტანტებისა და მენარმეებისთვის.

ეს პროექტი ხელს შეუწყობს როგორც ტურიზმის ბიზნესში უკვე ჩართული ადგილობრივი მენარმეების სწავლებას, ისე პრაქტიკული რჩევებით დაეხმარება დამწყებ დაინტერესებულ მენარმეებს მათი

იდეების ჩამოყალიბებაში და დახვეწაში სოფლის ტურიზმის განვითარების მიმართულებით. ბიოსფერული რეზერვუარის ხელს შეუწყობს ადგილობრივი პოტენციალის გამოვლენას. დედოფლისწყაროში ხომ მნიშვნელოვანი შესაძლებლობები გვაქვს სოფლის, აგარული, გასტრონომიული, მატერიალურ თუ არამატერიალურ კულტურაზე დაფუძნებული შემოქმედებითი და სხვა მიმართულების ტურიზმის განვითარებისთვის. მსოფლიოს ბევრი ქვეყანა უკვე დიდი ხანია იყენებს თავისი სოფლის ადამიანურ და ბუნებრივ რესურსებს მწვანე ეკონომიკის განვითარებისთვის. ჩვენს მოსახლეობასაც შეუძლია ამის გაკეთება, ხშირად, საკმაოდ მინიმალური დანახარჯებითაც. მთავარია საქმის კეთების სურვილი და სხვა ქვეყნების გამოცდილების გაზიარება, მათი კარგი მაგალითების ჩვენს გარემოზე მორგება. ბევრ ქვეყანაში საკმაოდ ძვირადღირებული ტურისტული პროდუქტებია შექმნილი აგარული პროფილის ან მცირე ტრადიციული ნივთების მწარმოებელ ოჯახურ შინამეურნეობებში, მცირე თუ დიდ სანარმოებში. მაგალითად, შესაძლებელია შემოსავლის დამატებით წყაროდ იქცეს სოფელში არსებული მოშობების სახლი, ოჯახური მეურნეობა, სადაც თუნდაც 1 ან 2 ძროხა, ცხვარი ან ფრინველები ჰყავთ, საოჯახო მეფუტკრეობა, მეზოცერეობა, ღვინის ან არყის წარმოება, თონე, მატყლის გადამამუშავება და მოქსოვილი ნივთების გაყიდვა, თიხის წარმოება, ქარგვა, კერვა და სხვა. მთავრია, სწორად დავგეგმოთ და მარკეტინგული თვალსაზრისით სწორად შევფუთოთ ჩვენი საქმე. ამავე დროს მნიშვნელოვანია, რომ ერთ სოფელში რამდენიმე ასეთი მცირე ობიექტი მიებას ამავე სოფლის ან რაიონის სხვა დიდ ღირსშესანიშნაობას, რათა სოფელი და მთელი რაიონი კომპლექსურად განვითარდეს.

ასე, რომ დედოფლისწყაროში არსებული დაცული ტერიტორიები და სხვა გუნებრივი რეზერვუარის ბიოსფერული რეზერვუარის შემადგენელი უფრო მეტად ჩაღვება ხალხის სამსახურში, თუკი ხალხიც გაუფრთხილდება ბარამოს და გონივრულად გამოიყენებს მას“.

ადგილობრივი მენარმეები დედოფლისწყაროში, რომლებიც ტურიზმის სექტორში არიან დასაქმებულნი, იმედოვნებენ, რომ ბიოსფერული რეზერვუარის მათ ახალ შესაძლებლობებს მისცემს.

თემაზე მოხსენიებული, მენარმე- „იუნესკოს მიერ აღიარება და ამ სტატუსით დედოფლისწყაროს მოხსენიება უკვე ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია. საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი მუნიციპალიტეტის ცნობადობის გაზრდა გამოიწვევს იმას, რომ ის გახდება ერთგვარი შეკრების ადგილი და პლატფორმა ტურიზმის სექტორში მოღვაწე ადამიანებისთვის, რომელიც საშუალებას მისცემს საერთო ინტერესების იდენტიფიცირებას. ამის გარდა, ხმას იოლად მივანჯღვრთ იქ, სადაც ჩვენს იდეებს და ინტერესებს მეტი გასაქანი ექნება.“

ვთვლი, რომ ადგილობრივებიც იგრძნობენ ბიოსფერული რეზერვუარის სიკეთეს, რადგან ამას მოჰყვება ტურიზმის სფეროს განვითარება და ადგილობრივი თემის ეკონომიკური გაძლიერება“.

„ხელთ არსებული შესაძლებლობა გამოიყენოს და თვითონ შეიცვალოს“, — ამოვბან კოსტა-რიკაზე მცხოვრებლები, რომლებიც ალრა, სანამ გუნების მოვლას იწყებენ, ისწავლიან, მომხმარებელი დამოკიდებულებით სერიოზულ ზიანს აყენებდნენ მას.

„ორი დღე ტომას მუნიოსთან ერთად გავატარე, რომელიც დოს-ბრას-ს-დე-რიო-ტიბერაში გაიზარდა — მორბე დასახლებაში, რომელიც ალრა უკანონო მალაროთი საზღვროვდა, ახლა კი ეკოტურიზმზე გადაერთო. მუნიოსმა ნაღირობა 10 წლის ასაკში დაიწყო, ოქროს მოპოვება კი — ორი წლის შემდეგ.“

გავშვობიდან საკუთარი ხუთი თითივით იცნობდა ტყისა და რაინჯობისა თუ კოლიციონისგან ხელიდან დასცლტომის ყველა ხმარს.

მუნიოსმა ნაღირობა 20 წლის ასაკში შეწყვიტა, რომელსაც გიდად მოუშავა ერთ-ერთმა პიკამ დაარწმუნა, რომ დროს ფუჭად კარავდა; ცხოველებთან ტურისტების მიყვანით გავრდა უკეთესი შემოსავალი ექნებოდა, ვიდრე ამ ცხოველების ხროცის მოსაპოვებლად ხოცვით, თუმცა პირველყოფილი ინსტინქტების გადარსება არც ისე მარტივი აღმოჩნდა.

„პიკამჩამ რაინჯობის სადგურზე ნამიყვანა, სადაც ბარაული ძათამი და პიკარი მრავალ იყო, — ისინი მუნიოსი, — შენაღივით მავინეა ჯოხის, ძვის, ან რაღაცის ძებნა დაიწყო, რომ ცხოველი მოეპოვა. ტვინი ასე მოიწვია გამგვარნი. ორი წელი დამჭირდა, ეს შემოქმედა რომ გამეულებოდა“.

სანამ მუნიოსი თავის აგვას მიყვებოდა, კოპოვადოს პარკის სამხრეთ შესასვლელისკენ მივავალ ნაცრისფერი ფიქლის სანაირის მიწვევებით. დღე პარკში გავატარეთ, სადაც მუნიოსი დუბინდის შტატის თოვით მხარზე გადადებული დაატარებდა, დროდადრო უეცრად ჩერდებოდა ხოლმე და ხან კოპატას მოუხროვდა, ხან კი ქოჩორა კარაპარას დახანახებდა, კაპუცინების ოჯახს, ციცაბო გოლომ-დულსა და შესამინა გაყას, ან კოპატის, რომელიც ხელებით კიპორჩხალით იტკარუნებდა პირს“ — წერს ჯეიმი შრივი.

ეს არის მშვენიერი მაგალითი, როგორ უნდა გამოიყენო შესაძლებლობა და ის საკუთარ კეთილდღეობად აქციო.

ინგა შიოლაშვილი

ტრადიციული მუსიკა ყველაზე კარგად აღწერს ჩვენს იდენტობას...

ანა ლოლაშვილი მუსიკალური ოჯახიდანაა. აქ თითქმის ყველა მღერის. მისი პაპა - დედოფლისწყაროს კოლორიტი ბიჭიკო ლოლაშვილი ფოლკლორულ ანსამბლ "ხორნაბუჯში" მღეროდა. ბავშვობიდან მღერიან მისი დებიც. ანაც წინა-



პართა კვალს გაჰყვა. დღეს ის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტია და თვლის, რომ მისი პირველი ოცნება ასრულდა. გათავაზობთ მასთან ინტერვიუს.

ანა, პირველად როდის დაინტერესდი მუსიკით?

მას შემდეგ, როდესაც ჩემში მუსიკალური ნიჭი აღმოაჩინეს.

გულწრფელი ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ თავიდან ვერ ვიაზრებდი იმის მნიშვნელობას, თუ რატომ უნდა მეველო ვიოლინოზე ან ნელი ფორტეპიანოზე, მაგრამ რაც არასდროს მებეზრებოდა, ეს გუნდში სიმღერა იყო.

-ვინ იქონია შენზე ზეგავლენა, რომ მუსიკის სიყვარულს სერიოზული სახე მიელო?

- მასხენდებიან ჩემთვის გამორჩეული პედაგოგები, როგორც დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლიდან, ასევე ევგენი მიქელაძის სამუსიკო სასწავლებლიდან და გალობის უნივერსიტეტიდან. გამიჭირდება მათი გამორჩევა, მაგრამ გამოვყოფ იმ დიდ პიროვნებებსა და მასწავლებლებს, რომლებმაც მიბიძგეს, რომ გავმხდარიყავი მუსიკოსი, დამანახეს ამ პროფესიის მნიშვნელობა და სრულიად სხვა თვალთა და სიღრმით შემახედეს, დღემდე მათთან ერთად ვაკეთებ აღმოჩენებს, თუ რამხელა ძალა

მახელიძეს, ლეილა რუხაძეს, მიხეილ ედიშერაშვილს, ნინო ნანეიშვილს.

-როგორ გგონია, რა ახდენს ზეგავლენას ადამიანის პროფესიულ არჩევანზე?

პირველ რიგში, ვფიქრობ, ადამიანი ბედნიერი უნდა იყოს იმით, რასაც ქმნის და აკეთებს. ჩემთვის ჩემი სანიშნო მასწავლებლების არსებობა და მათი მაგალითი აღმოჩნდა. ვფიქრობ, ყველა ადამიანის ინტერესს უნდა წარმოადგენდეს არა ის, თუ რა იქნება მისთვის უკეთესი და სამომავლო პერსპექტივისთვის უმჯობესი, არამედ ის თუ რით განავითარებს ქვეყანას და რა წვლილს შეიტანს, აქედან გამომდინარე, პროფესიული არჩევანის დროს, ვფიქრობ, მნიშვნელოვანია მსგავს საკითხებზე ყურადღების გამახვილება.

-კორონავირუსი და მუსიკა...

-პანდემია დიდ გამოწვევად იქცა მუსიკოსებისთვის. შეწყდა ყველანაირი კონცერტი, მასტერკლასი, კონფერენციები. სამწუხაროდ, დღემდე არანაირი პლატფორმა არ არსებობს იმისა, რომ რამდენიმე ხმამ ერთად იმუზიციროს. გუნდად მუშაობაც საკმაოდ რთული აღმოჩნდა ამ მხრივ, მაგრამ არ შემიძლია არ აღვნიშნო, თუ როგორ გააერთიანა, გადაახალისა, განმუხტა საზოგადოება სტრესისგან მუსიკამ კარანტინის დროს. ვცდილობთ, მოვერგოთ დღევანდელობას და ამ გამოწვევებს შესაბამისად ვუპასუხოთ.

-როგორ გადაიტანეთ ეს რთული პერიოდი აბიტურიენტებმა?

-საგნების დიდი ნაწილი გვიტარებოდა დისტანციურად. კარნახებს, სმენით ანალიზს, ჰარმონიას ონლაინ ვენერდით. მაგრამ სადირიჟორო და საფორტეპიანო გაკვეთილები ინდივიდუალურად გვიტარებოდა. საბოლოოდ, ჩემი საუკეთესო პედაგოგების ძალისხმევითა და მონდომებით, ამ გამოწვევასაც შესაბამისად გავართვით თავი.

-როგორ მიგაჩნიათ, რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ახალგაზრდობა დაინტერესდეს ხალხური მუსიკით?

-ვფიქრობ, საკმაოდ აქტუალური საკითხია. თავდაპირველად აღვნიშნავ, რომ ძარბაზი ხალხური მუსიკა ყოფიან განუყოფლად არსებობს. ამიტომ მნიშვნელოვანია, ფოლკლორმა, რაც ბაზისსამოთხე ხალხის სიბრძნის, სცენიდან კვლავ ყოფიან გადინა-ნაცვლელს და სოფალს დაუბრუნდეს. რაღაცნაირად მომწყვდით ჩვენს ფს-

მაჩნია, რომ მნიშვნელოვანია მუდმივი ექსპედიციები ეთნოფორებთან. მათ გვერდით ყველაზე უკეთ გრძნობ, თუ ვინ ხარ და რას წარმოადგენ. არ უნდა გავწყვიტოთ კავშირი წინაპართა ხმებთან.

-ანა, ახალგაზრდა თაობის დიდი ნაწილი არ უსმენს ფოლკლორს. შენ ამ მხრივ იშვიათი გამონაკლისი ხარ...როგორ დაინტერესდი ხალხური მუსიკით?

-მამა, ზაზა ლოლაშვილი განსაკუთრებული მიმდევარია ქართული ტრადიციების. ბავშვობიდანვე მესმოდა, თუ როგორ მღეროდა პაპა, ბიჭიკო ლოლაშვილი ფოლკლორულ ანსამბლ „ხორნაბუჯში“. მეც ბავშვობიდან ვეზიარები ქართულ საუნჯეს. ჩვენი მუსიკალური ფოლკლორი და პროფესიული საეკლესიო მუსიკა პოლიფონიური და მართლაც

ვილის „სამოსელი პირველი“,

-საყვარელი მწერალი- ილია ჭავჭავაძე

-საყვარელი მხატვრული ნაწარმოები: გამოვყოფ გოდერძი ჩოხელის „ადამიანთა სევდას“

-საყვარელი მუსიკა, კომპოზიტორი...

ეს ძალიან რთული კითხვაა... ქართლ-კახური ფოლკლორული ნიმუშებიდან გამოვარჩევდი „ღმერთო, ღმერთო, მოწყალეო“, და კომპოზიტორს იოჰან სებასტიან ბახს. კლასიკოსებიდან - მოცარტს.

-ხელახლა რომ დაიწყოთ ცხოვრება, რას შეცვლიდით? ალბათ, არაფერს

- თქვენი ყველაზე დიდი სიმღერე...

-ჩემი ოჯახი.

-როდესაც გიხარიათ...



გამორჩეულია. ტრადიციული სიმღერა-გალობა ყველაზე უკეთ აღწერს ჩვენს იდენტობას, ყველა კუთხის ხასიათს, ჩვენს გენეტიკურ კოდს. მერწმუნეთ, ამ საუნჯესთან შეხება დიდი ბედნიერებაა.

-ძალიან რთულია, იყო ფოლკლორის შემსრულებელი. არ გაგიჭირდა ქართულ პოლიფონიურ მუსიკასთან „შერკინება“?

-მართლაც განსაკუთრებული მანერა და მღერა ახასიათებს, განსაკუთრებით ავთენტურ შემსრულებლობას. როდესაც ვასრულებთ ამა თუ იმ კუთხის სიმღერას, ვცდილობთ, ძველი ჩანანერის პირვანდელი სახე აღვადგინოთ და ნათლად წარმოვაჩინოთ ჩვენი წინაპრების განცდები. ბავშვობიდანვე სამ ხმაში ვმღეროდით მე და ჩემი დები ანსამბლ „მანდილი“, აქედან გამომდინარე, ჰარმონიული სმენა ბავშვობიდანვე განვითარდა. არ გამჭირვებია გალობის უნივერსიტეტში მუსიკალური ფოლკლორის შესწავლაც, რადგან ქალბატონმა დალი ელისაშვილმა შესაბამისი საფუძველი შემიქმნა, მეტიც, სიმღერების დიდი ნაწილი მოსმენილი და ნასწავლი გვქონდა.

-ანა, შენს სამომავლო გეგმებზე გვითხარი ორიოდე სიტყვით...

-ახალ ეტაპს, ახალი შემართებით კონსერვატორიაში დავინწყებ, ამასთან ერთად ქალთა ანსამბლ „ილონში“ გავაგრძელებ მოღვაწეობას. წინასწარ გამიჭირდება რამის თქმა, თუმცა დიდი სურვილი მაქვს შევქმნა გუნდები ჩემს ქიზიყში.

-საყვარელი ნიგნი- გურამ დოჩინაძე



აქვს მუსიკას. დიდი სიყვარული მათ ჩემგან. მადლობა ყველაფერისთვის: მარინა კიკილაშვილს, დალი ელისაშვილს, მარიკა პირზადოვას, ნინო ნიკვაშვილს, თამარ თამაზაშვილს, გელა გველუკაშვილს, ლია ჭონიძეშვილს, ხათუნა კალ-

ვებს. გაუცხოება გვჭირს ჩვენი ტრადიციების. ვფიქრობ, აუცილებელია დაუბრუნდეთ იმ ადგილს, საიდანაც ვართ და ჩვენს ტრადიციებს ვუბრუნდეთ. ძარბაზი ჩვენი ტრადიციისა და სოფალს დაუბრუნდეს. ამის დასახნად მი-

-სიხარულს ვუზიარებ ჩემს მეგობრებსა თუ გარშემო მყოფებს და ეს განცდები ორმაგდება.

-როდესაც გწყინთ...

-პრობლემთან გადაჭრის გზებზე ვფიქრობ

-თქვენი ჰობი...

კითხვა, ქარგვა, ნამცხვრების ცხობა, ყვავილებზე ზრუნვა

-ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი...

-ჭეშმარიტების, საკუთარი თავის პოვნა და ამავდროულად, სიკეთისა და ბოროტის გარჩევა

-ყველაფერი ფერმკრთალდება, როცა...

-ჩემი საყვარელი ადამიანები არ ილი-მებიან

-ანა, რა პრობლემების წინაშე დგახართ ახალგაზრდები?

-ვფიქრობ, ახალგაზრდებს უფრო მეტად უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, რომ თავიანთი ნიჭისა და ცოდნის რეალიზება შეძლონ. სამწუხაროდ, იკარგება და ყურადღების მიღმა რჩება ხშირად ახალი ენერჯია, ახალი ძალა და შემართება. ვფიქრობ, უფრო მეტად უნდა დაფასდეს თითოეული ახალგაზრდის შრომა.

-რა ნიშნავს შენთვის თავისუფლება?

-თავისუფალ გარემოში არსებობაა, რომლის შენარჩუნება მხოლოდ სულიერ-ზნეობრივად მომზადებულ და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ხალხს შეუძლია. თავისუფლება უზრუნველდება, პასუხისმგებლობისაგან გაქცევა კი არაა, არამედ მოქმედება, სწრაფვა თვითგანვითარებისაკენ, საკუთარი თავის ფლობისაკენ, სრულყოფილებისაკენ.

ესაუბრა ინგა შიოლაშვილი

როდის და როგორ დაიძლევა სიღარიბე...

მოსახლეობის ცხოვრების დონე წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს სოციალურ - ეკონომიკურ კატეგორიას, რომელიც გულსხმობს მოსახლეობის მატარებელს და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების დონესა და ხარისხს. იგი საზოგადოებრივი კეთილდღეობის უზრუნველყოფის დონეზე მიუთითებს და ცხოვრების წესის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს.

ცხოვრების დონე დამოკიდებულია მრავალ რთულ და განსაკუთრებულ ფაქტორზე, რომლებიც: ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, ისტორიული, ეროვნული, გუნდური პირობები, მათ შორის მთავარია მოსახლეობის შემოსავლები, დანახარჯები, სიღარიბის დონე. ცხოვრების დონის ზრდის ტემპები, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალზე, ანუ იმაზე, თუ რამდენად შესაძლებელია მოსახლეობის მატარებელს და სულიერი მოთხოვნილებათა უზრუნველყოფა.

ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასა და საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებას დიდ როლს ასრულებს მოსახლეობის შემოსავლები და დანახარჯები, ამიტომ ისინი წარმოადგენს ცხოვრების დონის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს.

ყველასთვის ცხადია, რომ შემოსავლებს (ხარჯებს) შორის არსებობს უთანაბრობა. ამ უთანაბრობას ახასიათებს ჯიშის კოეფიციენტი, რომლის მნიშვნელობა მართლაც 0-დან 1-მდე, აბსოლუტურად უფრო მეტად უახლოვდება მისი მნიშვნელობა 1-ს, მით მეტი შემოსავლები კონცენტრირდება მოსახლეობის ცალკეულ ჯგუფებს ხელში. ქვეყნებს შორის ამ ინდექსის მიხედვით ყველაზე ნაკლები უთანაბრობა გვაქვს და შეადგენს 0,23-ს, ხოლო ყველაზე მეტი — ნამიბიასში, 0,7. (საქართველოში, ამჟამად 0,4-ის ტოლია).

ხელისუფლება ამბობს, რომ ქვეყანაში ეკონომიკური ზრდაა. ასეა თუ არა და როდის აისახება ეს ზრდა ხალხის მდგომარეობაზე? ამ თემაზე საუბრობს ეკონომიკის ექსპერტი სოსო არჩვაძე.

ეკონომიკური ზრდა რეალურია, მაგრამ გააჩნია ათვლის წერტილი. გასული წელი ჩვენთვის მიძიმე იყო, არა მარტო პანდემიის გამო, არამედ ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვითაც. თუ მსოფლიოში ეკონომიკური ზრდა დაახლოებით 4% იყო, ჩვენთან ეს მაჩვენებელი 6,2%-ს უახლოვდებოდა. მანამდეც, ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული ეროვნული პროდუქტის მიხედვით საქართველო და დანარჩენი მსოფლიო რომ შევადაროთ, ჩვენ მსოფლიოს საშუალო მაჩვენებლის დაახლოებით 86%-ის დონეზე ვიყავით. გაეროს განვითარების პროგრამისა თუ საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეიტინგში საქართველო ადგილს ისედაც მეორე ასულის დასაწყისში იკავებს, ვარდნის მასშტაბი კი უფრო აზიანებს ჩვენს კეთილდღეობას და ზრდის მაჩვენებლები არ არის საკმარისი, რომ გაუმჯობესების პროცესი რეალურად ვიგრძნოთ.

წლებულს, წლის პირველ ნახევარში 12,1%-იანი ზრდა გვაქვს და ვისურვებოდა, ეს ტემპი შევინარჩუნოთ წლის მეორე ნახევარშიც. სავალუტო ფონდის ბოლო პროგნოზი არის წლებულს 7,7%-იანი ზრდა. თუ ამ პროცენტს შევინარჩუნებთ, ჩვენ გვექნება კრიზისამდელ, 2019 წელთან შედარებით, დაახლოებით 1%-იანი ეკონომიკური ზრდა, რადგან ჯერ უკუსვლა უნდა დავდლოთ და წინ მხოლოდ ამის შემდეგ წავიდე. თუმცა არ არის გამორიცხული რომ ჩვენ წლის მეორე ნახევარშიც შევძლოთ ორნიშნა ეკონომიკური ზრდის შენარჩუნება. ეს მოგვეცემს საშუალებას, ჩვენი ეკონომიკური ზრდა, 2019 წელთან შედარებით, 5%-იანი იყოს.

რამდენჯერ უნდა იყოს ზრდა საჭირო, რომ მოსახლეობამ ეს იგრძნოს?

შეგრძნება არა მარტო ობიექტური, არამედ სუბიექტური კატეგორიაა. ზოგი 10 ლარის მომატებას გრძნობს, ზოგისთვის კი 1000 ლარის მომატებაც არავფერს ნიშნავს, ამიტომ ასეთ კითხვას შეიძლება გაეცეს მხოლოდ რიტორიკული პასუხი: თუკი ეკონომიკური ზრდა გვაქვს,

მაშინ ამას მოსახლეობაც იგრძნობს! მაგრამ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება მოსახლეობის ყველა ფენამ უნდა იგრძნოს და არა ცალკეული სფეროების წარმომადგენლებმა.

თუ, მაგალითად, ეკონომიკური ზრდა შეინიშნება ვაჭრობის სფეროში, მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მაგრამ არ შეინიშნება ტურიზმში, ამ სფეროში დასაქმებული ადამიანი როგორ იგრძნობს მდგომარეობის გაუმჯობესებას? ამიტომ ჩვენთვის მთავარია, ზრდამ მოიცვას ეკონომიკის ყველა სექტორი, ყველა რეგიონი და ქვეყნის შიდა მეურნეობები, ანუ მოდური ტერმინით რომ ვთქვათ, მოხდეს რეალური ინკლუზიური ზრდა. ამ დღეებში სამინისტროები რეგულაციებით მართავენ უახლოესი ათწლეულის სამოქმედო გეგმების პრეზენტაციას. ეს ფაქტები თემაა, რადგან ჩვენ ისეთ ტურბულენტურ მდგომარეობაში ვცხოვრობთ, ეკონომიკასა და პოლიტიკას თავს დასტრიალებს არა მარტო ერთი შავი გედი, არამედ შავი გედების გუნდი და ძნელია ზუსტად გათვლა, რასაც ათი წლის კი არა, უახლოესი ერთი, სამი თუ ხუთი წლის შემდეგ შეიძლება ველოდეთ. თუ ზომიერად ოპტიმისტები ვიქნებით, 2022 და მომდევნო წლებში ჩვენი ეკონომიკური ზრდა 5-6%-ზე დაბალი არ უნდა იყოს.

რას გეგმავს?

რაც უნდა ბევრი გეგმა დაესახოს, ყველაფერი თავს იყრის ერთ მაჩვენებელში - ეს არის ეკონომიკური ზრდის მაჩვე-

ნაგვითარება შეუძლებელია (კაცობრიობას არ უყვარს წრფივი განვითარება, ის ზიგზაგურად ვითარდება), მაგრამ მთავარი ის არის, რომ ჩვენ გვინდა ზრდის გაცილებით მაღალი, ანუ ორნიშნა ან ორნიშნასთან მიახლოებული ტემპი არა მარტო პოსტკრიზისული პერიოდის პირველ წელს, არამედ გაცილებით ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, რათა ჯერ მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელს მივუახლოვდეთ, მერე კი - საშუალო ევროპულ მაჩვენებელს.

ამის პირობაა კაპიტალტევადი, მეცნიერულად ტევადი დარგების განვითარება, რომლებიც სამეცნიერო სიახლეების მხრივ მსოფლიოში მონიშნავენ. ამავე დროს, უნდა გამოვიყენოთ საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, მისი ტრანზიტული როლი და ფუნქციები და ხელი შევუწყოთ საქართველოს გავლით სხვადასხვა მომსახურების მიწოდებას მეზობელი და არამეზობელი ქვეყნებისთვის. საქართველოს აქვს ამის პოტენციალი და ის სრულად უნდა გამოიყენოს. ეს შეუძლებელი არ არის, საჭიროა მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევა და პოლიტიკოსების მიერ ქვეყნის ეკონომიკისთვის სასურველი ინფორმაციული და პოლიტიკური ფონის შექმნა. როდესაც პოლიტიკური ნინაღმდეგობა და გულში მჯიღის ცემა საერთაშორისო რეზონანსს იღებს, ინვესტორებიც ფრთხილობენ და ბიზნესმენებიც ნაკლები ენთუზიაზმით ეკიდებიან საქმეს, ამიტომ ჯერ ადგილობრივ, მერე კი მოწვეულ ინ-



ნებელი. იმ ტემპით, რომელიც ეკონომიკის სამინისტრომ წარმოადგინა და გუშინდელ პრეზენტაციაზე (ინტერვიუ ჩანერილია 7 აგვისტოს - ავტ.) მას ფინანსთა სამინისტროც დაეთანხმა, ჩვენ 2029 წელს შევძლებთ, ვიყოთ 2020 წლის ბულგარეთის დონეზე (ბულგარეთი ევროკავშირის ყველაზე სუსტი რგოლია. ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული ეროვნული პროდუქტი იქ ყველაზე ნაკლებია). თუ მეტს მოვიწოდებთ, 2032 წლისთვის ჩვენ ვიქნებით 2020 წლის საბერძნეთის დონეზე. თუ უფრო წინ გავიხედავთ და ექსტრაპოლირებას გავაკეთებთ, 2039 წლისთვის საქართველო იქნება 2020 წლის ჩეხეთის დონეზე, 2043 წელს - გერმანიის დონეზე, 2057 წელს კი - ევროკავშირის ყველაზე მდიდარი ქვეყნის, ლუქსემბურგის დონეზე... მაგრამ რაც უნდა ბევრი მეგობარი გვყავდეს არა მარტო ევროკავშირში, არამედ მსოფლიოში, არც ერთი არ გაჩერდება და არ გვეტყვის, მე 7, 8, 15, 25 წელიწადს დაგეგოდე, რომ დამენიო და მერე ხელისუფლებამ დაგვტყობს ვიაროთო, ამიტომ ჩვენ გაცილებით მაღალი ტემპის განვითარება უნდა შევძლოთ. მაგალითად, დაეგვიმოთ შედარებით 1%-ითაც რომ გავზარდოთ ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი, ბულგარეთის დონეს ნავარაუდევზე ორი წლით ადრე მივაღწევთ, გერმანიის დონეს - სამი წლით ადრე, ხოლო ლუქსემბურგის დონეს - ექვსი წლით ადრე, ანუ 2051 წლისთვის. ეს, რა თქმა უნდა, სქემებია და რეალურ ცხოვრებაში ზუსტად ასე, სწორხაზოვნად, წრფივად

ვესტორებს უნდა ჰქონდეთ გარანტია, რომ ქვეყანაში იქნება სტაბილურობა, სიმშვიდე და საგადასახადო ფონი ხელს შეუწყობს მეტი სამუშაო ადგილის შექმნას, მეტი დოვლათის წარმოებას, ამის საფუძველზე კი - ეკონომიკურ ზრდას. აქ გამოსაგონებელი არაფერია, ველოსიპედი, დიდი ხანია, გამოგონებულია. მთავარია მონდობა და საკუთარი ქვეყნის მეტი სიყვარული.

ეს მონდობა ფასებში როდის აისახება, რომ გაჩირვებულმა, სოციალურად დაუცველმა ფენამ რაღაცა სიკეთე იგრძნოს?

ეს ძალიან მტკივნეული თემაა, იმიტომ, რომ ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილის რეალური შემოსავალი დაბალია. ოფიციალურ საარსებო მინიმუმს ვერ დავეყრდნობით, რადგან სიღარიბის ზღვარი ამჟამად მოქმედ ოფიციალურ საარსებო მინიმუმთან შედარებით გაცილებით მაღალია. რომ შევადაროთ შრომისუნარიანი მამაკაცის ოფიციალური საარსებო მინიმუმი ამჟამად 200 ლარის ფარგლებშია, მაგრამ რეალურად, ამჟამინდელი ფასების გათვალისწინებით, ეს მაჩვენებელი დაახლოებით 500 ლარი მინიმუმ უნდა იყოს. გამოდის, რომ ახლა ძალიან ბევრი დასაქმებულიც კი საარსებო მინიმუმზე გაცილებით დაბალ შემოსავალს იღებს, ამიტომ სახელმწიფოს ამოცანა უნდა იყოს არა მეტი სამუშაო ადგილის შექმნა (თუმცა, რა თქმა უნდა, ეს სტრატეგია ძალში უნდა დარჩეს), არამედ უკვე დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების გაზრდა

და მათთვის ღირსეული პირობების შექმნა. ჩვენ უნდა შევძლოთ, საქართველოში სამუშაო ძალა იყოს რაც შეიძლება კვალიფიციური, ინტელექტუალური. ეს, რა თქმა უნდა, გამოიწვევს სამუშაო ძალის ღირებულების ზრდას, მაგრამ, იმავდროულად, გამოიწვევს მსოფლიო ბაზარზე ამ ინტელექტუალური ძალის მონაწილეობით შექმნილი დოვლათის მაღალ კონკურენტუნარიანობას.

მარტივი შრომით წარმოებული პროდუქტით ჩვენ შორს ვერ წავალთ. წლებულს შესაძლოა მოვიწიოთ, ვთქვათ, 100 ტონა ატამი, გაისად - 200 ტონა, მაგრამ მარტო ატამისა და ყურძნის წარმოებით მსოფლიო ბაზარზე თავს დიდხანს ვერ გავიტანთ. წინ რომ წავიდე, საჭიროა სიღარიბისუფლები ცვლილებები, მათ შორის - განათლების სფეროში, მეცნიერების ღირსეული დაფინანსება და კვალიფიციური კადრების გაზრდა. ამ მიმართულებით თუ წავალთ, ჩვენ მართლაც გვექნება საშუალება, უფრო ღირსეულად გავიდე მსოფლიო ბაზარზე და კონკურენცია გავუწიოთ სხვა ქვეყნებს.

თუ არსებობს მეთოდი, თუნდაც რომელიმე ქვეყნის გამოცდილება, რომ უფრო სწრაფად შევძლოთ სოციალურად დაუცველი ფენის მდგომარეობის გაუმჯობესება?

ყველა მაგალითი ინდივიდუალურია და ზუსტად რამის გადმოღება არ შეიძლება, მაგრამ ცნობილია ინდოეთის მიღწევები. ინდოეთმა ბოლო 20-25 წლის განმავლობაში სიღარიბიდან გამოიყვანა თითქმის 600 მილიონი ადამიანი. ყურადღება მიაქცია განათლებას, მეცნიერებას, ისეთ სპეციალობებს, რომლებმაც ჩვენთან რატომღაც ფასი დაკარგა. ეს არის ზუსტი მეცნიერებები, საბუნებისმეტყველო დარგები: მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, ინფორმატიკა. თვით აშშ-შიც კი პროგრამისტების წრე, ძირითადად, ინდოეთში მომზადებული კადრებით ივსება. ინდოეთი დიდი ნაბიჯებით მიიწევს წინ. ალარაფერს ვამბობ ჩინეთზე, რომელიც, ფაქტობრივად, უკვე ლიდერი ხდება და სხვებს ჰკარნახობს მეცნიერულ სიახლეებს. სხვათა შორის, ჩინეთში დაწყებული პანდემიის მიუხედავად, ამ ქვეყანამ შეძლო, რომ გასული წელი კლებით კი არა, 2%-იანი ეკონომიკური ზრდით დაემთავრებინა. სიღარიბის პრობლემა იქაც, ძირითადად, დაძლეულია და ეს ქვეყანა სტაბილურად ვითარდება - ჰყავს მილიარდები და სულ უფრო ნაკლები ღარიბი მოსახლეობა.

აშშ-ში 1963 წლიდან მოქმედებს ე.წ. სასურსათო ტალონები, რომლებსაც აძლევს მოსახლეობას, რომელთა შემოსავალი სიღარიბის ზღვარზე ნაკლებია. ბოლო მონაცემებით ასეთი იყო 43 მილიონი ადამიანი. ასე ახერხებენ, სოციალური დაცვის ქოლგის მიღმა არ დარჩეს ქვეყნის არც ერთი მოქალაქე.

სანამ დათქმულ 10 წელიწადს ღირსეულად გავლეთ, ჩვენს ღარიბ ფენას როგორ გავაძლებინოთ?

დახმარება, რომელსაც სახელმწიფო გაიღებს, საკმარისი არ არის, მაგრამ ყველაფერი დამოკიდებულია იმ რესურსების ოდენობაზე, რომელთა განმკარგავიც არის სახელმწიფო. უნდა ვახსენოთ ისიც, რომ ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილი ქვეყნიდან არის გასული და ისინი ეხმარებიან საქართველოში დარჩენილ ოჯახის წევრებს.

გამოსავალია ლიბერალური საგადასახადო რეჟიმი, ბიზნესის ხელშეწყობა და მეტი სამუშაო ადგილის შექმნა, რადგან სახელმწიფო ვერასოდეს გასცემს იმაზე მეტ დახმარებას, ვიდრე ადამიანს შეუძლია, საკუთარი შრომით მიიღოს. ამაზე იდეალური და უნივერსალური რეცეპტი ჯერ კაცობრიობას არ გამოუგონია.

ისმის ხოლმე კითხვა: რა კავშირია ეკონომიკურ ზრდასა და სამუშაო ადგილების შექმნას შორის? ყოველი 2,5-3%-იანი ეკონომიკური ზრდა ნიშნავს უმუშევრობის 1%-ით შემცირებას, ამიტომ ეკონომიკური ზრდა მხოლოდ სტატისტიკისთვის კი არ გვინდა! ის, უპირველესად, გვაძლევს საშუალებას, ეკონომიკა წაღვი გავიაროთ და მოსახლეობამ, შემოსავლების ზრდის ხარჯზე, პირობების გაუმჯობესება იგრძნოს.

მასალა მოამზადა
საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
კანდიდატი სოსო არჩვაძე

აგრაფინა კისკისაო, დადიანმა სხვას მისცაო...

აგრაფინა ჯაფარიძე 1855 წლის 26 ოქტომბერს დაიბადა. ის თავად ჯაფარიძეთა იმ შტოს ეკუთვნოდა, რომელიც ზემო რაჭაში სოფელ ონჭევში სახლობდა. აგრაფინას დედ-მამას კონსტანტინეს

ში ჩაეხრჩოთ აგრაფინა" (ე. თავბერიძე), რომელმაც მათ იმედებს ცივი წყალი გადაასხა და გულისტკივილს მხოლოდ იმით იქარვებდნენ, რომ სალონებში გიტარაზე აკვენესდნენ: "აგრაფინა კისკისაო, დადიანმა პრინცს მისცაო."



და მელანისა (ისიც ჯაფარიძე იყო) კიდევ ერთი ქალიშვილი ჰყავდათ. კონსტანტინე 1860 წელს 26 წლისა გარდაიცვალა და მელანია ქალიშვილებთან ერთად გადასახლდა ქუთაისში. აქ ის 1864 წლის 2 ნოემბერს მეორედ გათხოვდა დაქვრივებულ აზნაურ გიორგი იოსელიანზე. აგრაფინა ქუთაისის წმინდა ნინოს სასწავლებელში მიაბარეს, სადაც, სხვათა შორის, სწავლობდა ნიკო ნიკოლაძის დასთან, ოლიმპიადასთან ერთად.

21 წლის აგრაფინა გათხოვდა თავად ტარიელ დადიანზე, რომელსაც პირველი ცოლი სოფიო შარვაშიძე გარდაცვლიდა და 4 შვილს ზრდიდა. აგრაფინას ბედით ძირითადად შეიცვალა 80-იანი წლების დამდეგს. ამ დროს ქუთაისში დაბანაკდა ყუბანის კაზაკ ცხენოსანთა პოლკი ფლიგელ-ადიუტანტის პრინც კონსტანტინე ოლდენბურგის მეთაურობით (1881-1887 წწ.).

უცოლო პრინცი ოლდენბურგი ქუთაისელი ლამაზმანების ყურადღების ცენტრში მოექცა, მაგრამ ის მხოლოდ ერთი ქალით დაინტერესდა. ქუთაისში მის პატივსაცემად გამართულ წვეულებაზე მოიხიბლა აგრაფინა ჯაფარიძით. მაგრამ აგრაფინა ქმრიანი ქალი იყო.

ამბობენ, აგრაფინას მიმართ ოლდენბურგის ყურადღებით გაბზერებულმა თავადმა ტარიელ დადიანმა ხმალს ივლო ხელი, მაგრამ კეთილმოსურნეებმა გააჩერეს - ძვირად დაგიჯდებაო.

იმასაც ამბობენ, თითქოსდა ნარდში, ანდა ბანქოში წააგო ფული ტარიელმა და, ვალის გადახდის სანაცვლოდ, ოლდენბურგმა აგრაფინასთან განშორება მოსთხოვა. სხვა ვერსიით, დადიანი დიდხანს უარზე იყო, ვიდრე თავის თავზე არ აიღო განქორწინებისთვის საჭირო ბრალი და სათანადო კომპენსაცია მიიღო. მაგრამ ქვეშაირებმა მაშინაც კი არავინ იცოდა, ეს ყველაფერი ჭორები იყო და თანამედროვენიც ამ ჭორებს მოგვითხრობდნენ, ერთი დეტალის - მილიონი ოქროს თუნის გარდა.

დადიანი საბოლოოდ დათანხმდა, გაშორებოდა ცოლს. ახლად დაბადებული ქალიშვილი მენიკი დადიანებმა ნაიყვანეს და მერე, დედასთან მისი ურთიერთობის შესახებ არაფერია ცნობილი. ქუთაისელი კნიაზები მზად იყვნენ "ერთ კოვზ წყალ-

ბურგმა და აგრაფინა ჯაფარიძემ 1882 წლის 20 ოქტომბერს დაინერეს ჯვარი. ამ ქორწინებით უკმაყოფილო დარჩა ნიკოლოზ II და რუსეთის საიმპერატორო კარი. მაგრამ, როცა პეტერბურგში კონსტანტინემ თავის მეუღლე ნარუდგინა იმპერატორს, ნიკოლოზი აღფრთოვანებული დარჩა მისი მშვენიერებით.

ქორწინებამ შეცვალა კონსტანტინე ოლდენბურგი, ის დასერიოზულდა და ბიზნესს მოჰპოვდა ხელი. ქუთაისში ბალახოვანის (ამჟამად წერეთლის) ქუჩაზე იყიდა დიდი ფართობი და გახსნა კონიაკისა და შამპანურის ქარხანა, გამოიწერა ფრანგი მეღვინეები და საქმე კარგად ანაწყო. ქარხანა დიდძალ მაშპანურსა და კონიაკს ამზადებდა საექსპორტოდ. ქუთაისში ცოლ-ქმარი 14 წელი ცხოვრობდა ოლდენბურგის მიერ ამყენებულ ორსართულიან ეზოიან სახლში, ანგლისკაიას ქუჩაზე, რომელსაც, მის

პატივსაცემად, ოლდენბურგის სახელი ეწოდა. იქ ქუთაისის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა განთავსდა. იქვე ახლოს მან ააგო ადმინისტრაციული შენობაც, რომელიც, ქუთაისის დატოვების შემდეგ, ჩერდებოდნენ ქუთაისის გუბერნატორები. მოგვიანებით იქ სახელმწიფო უშიშროების სამსახურმა დაიბო ბინა. პრინცმა სატრფოს ულამაზესი სასახლე აუშენა. ამ სასახლეში ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის, დავით არსენიშვილის (1905-1963; მოგვიანებით იგი მოსკოვში ანდრეი რუბლოვის მუზეუმის პირველი დირექტორი გახდა) მიერ 1927 წელს დაარსებული სათეატრო მუზეუმი გადმოვიდა. დღეს ის პროფილით ერთადერთია კავკასიაში, ხოლო კოლექციის სიმდიდრით მსოფლიო მნიშვნელობის მუზეუმების თანხლები. აქ დაცული 300 ათასზე მეტი ექსპონატი თითქმის ამომწურავ ინფორმაციას მოგანვლით ქართული თეატრის, მუსიკის, ცირკის, ხალხური შემოქმედების, ოპერისა და საბალეტო ხელოვნების განვითარებასა და ამ დარგში მოღვაწე ხელოვანთა შესახებ.

კონსტანტინე ოლდენბურგი მონანილეობდა ფოთსა და ზუგდიდს შორის რკინიგზის გაყვანაში, გაგრის კეთილმოწყობაში, სადაც წამყვანი იყო მისი ძმა ალექსანდრე. მაგრამ კონსტანტინეს დამსახურება იმდენად დიდი იყო, რომ 1908 წლის 27 აპრილს მას მეგლი დაუდგეს გაგრაში.

პრინცი კონსტანტინე ოლდენბურგი, ოჯახთან ერთად, ქუთაისს 1896 წლის 19 ოქტომბერს გამოემგვიდოდა. მანამდე 11 და 16 ოქტომბერს ქალაქის თავადაზნაურობამ და ქუთაისის ინტელიგენციამ მას გამოსათხოვარი საღამოები გაუმართეს. ერთ მათგანზე აკაკი წერეთელიც გამოსულა შთამბეჭდავი სიტყვით.

ჩვენს პრესაში ისიც დაინერა, რომ აგრაფინა არ წაჰყვა ქმარს საქართველოდან და მაშინ ოლდენბურგმა შეიღებინა ნაიყვანა. ესეც მორიგი გაუგებრობაა. აგრაფინა თან ახლდა ქმარს პეტერბურგშიც და პარიზშიც. 1903 წელს თებერვალში მონანილეობა მიიღო პეტერბურგში კოსტიუმირებულ სააღდგომო წვეულებაში XVII ს-ის რუსი დიდებული ქალბატონის სამოსში. ამ წვეულების მონანილეთა სურათები დაბეჭდილია. მათ

შორის 48 წლის აგრაფინა სილამაზით ამკარად გამოირჩევა.

კონსტანტინე ოლდენბურგი საფრანგეთში 1906 წელს გარდაიცვალა და მისი ცხედარი პეტერბურგში დაკრძალეს.

უფროსი ქალიშვილი ალექსანდრა ცოლად გაჰყვა საფრანგეთში რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე II-ის ვაჟს გიორგის, რომელიც დედასთან, ეკატერინე დოლოგოპოვასთან ერთად საფრანგეთში ცხოვრობდა და სორბონა დაამთავრა. მათი ისტორიაც სევდიანია. ალექსანდრე II -ს ჰყავდა ცოლი, რომელთანაც ეყოლა მომავალი იმპერატორი ალექსანდრე III. მაგრამ დედოფალი ხშირად ავადმყოფობდა და იმპერატორმა შეება რიურის შთამომავალ ეკატერინა დოლოგოპოვასთან ჰპოვა. გაუჩნდა 2 ასული და 2 ვაჟი. დედოფლის გარდაცვალებიდან (1880 წ. მაისი) მცირე ხნის შემდეგ იმპერატორი მორგანატული ქორწინებით შეუღლდა საყვარელ ქალთან და მას, შვილებთან ერთად, უბოძა უგანათლებულესი თავადის იურიევსკის გვარი. ისიც უნდოდა, რომ გიორგი ტახტის მემკვიდრედ გამოეცხადებინა, მაგრამ 1881 წლის 13 მარტს ტერორისტთა მსხვერპლი შეიქნა. ეკატერინამ შვილებითურთ დატოვა პეტერბურგი და საფრანგეთში გადასახლდა. 1900 წლის 11 თებერვალს საფრანგეთში გადაიკვთა აგრაფინას ასულის ზარნეკაუსა და გიორგი იურიევსკის ცხოვრების გზა. მათი შეუღლების ნაყოფი იყო ვაჟი ალექსანდრე, რომელიც 1900 წ. 21 დეკემბერს მოევიდა ქვეყანას. მაგრამ ქორწინება ხანმოკლე აღმოჩნდა. რუსი არისტოკრატის ლევ ნარიშკინის მცდელობამ და გულმოდგინებამ შედეგი გამოიღო. 1908 წელს ალექსანდრა გაეყარა ქმარს, რომელიც მოკლე ხანში აღესრულა (1913 წ.) და ნარიშკინის ცოლი გახდა. ალექსანდრა 1937 წლის 28 მაისს გარდაიცვალა პარიზში.

ერთი მხრივ, ალექსანდრე II-ისა და ეკატერინა დოლოგოპოვას და მეორე მხრივ, პრინც კონსტანტინე ოლდენბურგისა და აგრაფინა ჯაფარიძის შვილიშვილის შვილი შანს-გიორგი ალექსანდრეს ძე (დაიბადა 1961 წლის 8 დეკემბერს), რომელიც შვეიცარიაში ცხოვრობს, მონარქიის აღდგენის შემთხვევაში, რუსეთის ტახტის ერთ-ერთი პრეტენდენტი.

აგრაფინას სამი ვაჟიდან უფროსი - ნიკოლაი გარდაიცვალა 1976 წელს კამბო-ლე-ბენში, სამხრეთ-დასავლეთ საფრანგეთში. ორჯერ დაქორწინებულს შვილები არ დაეწარა. სხვათა შორის, მისი პირველი ცოლი მარიანა ფონ პისტოლკორსი გარეული იყო რასაუტინის მკვლელობაში. მეორე - 31 წლის ალექსი 1918 წლის 16 სექტემბერს ბოლშევიკებმა დახვრიტეს პეტროგრადში. შთამომავლობა არც მას დარჩენია. უმცროსი ვაჟი პეტრე 1914 წლის 24 ოქტომბერს პეტერბურგში დაქორწინდა თამარი შარვაშიძეზე, აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის ძმისშვილის პროკოფი შარვაშიძის მომხიბლავ ასულზე, რომელიც დედით მხეიძე იყო. ისინი რევოლუციის შემდეგ საფრანგეთში ცხოვრობდნენ. თამარი და მისი და, სახელგანთქმული მერი სილამა-

ზით იყვნენ გამორჩეულნი იმდროინდელ პარიზში და სახელი გაითქვეს, როგორც მოდელებმა.

აგრაფინას ქალიშვილებიდან მეორე, მომხიბლავი, ცისფერთვალეა ეკატერინა, შინაურობაში თინა, დიდი ქველმოქმედი, ღვთისმოსავი და მედდა I მსოფლიო ომში, რევოლუციის შემდეგ კარგა ხანს პეტროგრადში ჩარჩა. ის სამჯერ იყო გათხოვილი და ჰყავდა ერთი ქალიშვილი - ტატიანა პირველ ქმართან, დიდი მთავრის კირილე სინდიმერის ძის ადიუტანტთან ივან ფონ პლენთან. ეკატერინა ზარნეკაუ რომანოვების სახლთან დაკავშირებული უკანასკნელი ნარჩინებული ქალბატონი იყო, რომელიც პეტროგრადში რჩებოდა და ყველანაირად ეხმარებოდა რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიას. ის ორჯერ, 1920 და 1927 წლებში დააპატიმრა ჩეკამ და თუმცა თავი დააღწია განსაცხდელს, რუსეთში განერება სულ უფრო სახიფათო ხდებოდა. პირველი ქმრის, ივან ფონ პლენის ფინანსური შემწეობით და მართლმადიდებელი მღვდლების დახმარებით მან 1929 წლის 16 აგვისტოს დატოვა ლენინგრადი იმ საბაბით, რომ კავკასიაში მიემგზავრებოდა სამკურნალოდ. სინამდვილეში კი ეკატერინამ საიდუმლოდ გადალახა ფინეთის საზღვარი და საფრანგეთში ჩავიდა. პარიზში საბჭოთა აგენტურამ მალე გაარკვია, თუ როგორ შეძლო მან ეს და ჩეკა სასტიკად გაუსწორდა მის დამხმარებელს. ოცდაათზე მეტს, მათ შორის სასულიერო პირებსაც, გამოუტანეს უმაღლესი სასჯელი - დახვრეტა.

აგრაფინას უმცროსი ქალიშვილი ნინა სულიერად იყო დაავადებული და კისლოვოდსკოში მკურნალობდა. სწორედ ამის გამო აგრაფინამ არ დატოვა ქვეყანა და ქალიშვილს უვლიდა. ნინა გარდაიცვალა 1922 წელს და ჩვეულებრივ მიიჩნევენ, რომ აგრაფინაც იქ აღესრულა, მაგრამ ეს არ შეეფერება სინამდვილეს. აგრაფინა ქუთაისში დაბრუნდა. ბოლშევიკებმა მას ჩამოართვეს მთელი ქონება და იძულებული გახდა ძმისშვილთან - გიორგი იოსელიანთან ეცხოვრა. ის გადაურჩა ჩეკას კლანჭებს, რომელსაც უმწეო ქალი აღარ აინტერესებდა.

აგრაფინას ცხოვრებას არ სჭირდება არც შელამაზება და არც დრამატიზება. ის ლამაზი იყო და დრამატულიც. ხელმოკლე თავადის ასული, ტარიელ დადიანის მეუღლე, პრინც ოლდენბურგის ცოლი გახდა. მისი სახელი შესულია ევროპის სამეფოების დინასტიების სიებში. მან ნახა დიდებული და უზრუნველი ცხოვრება პეტერბურგში, რუსეთის იმპერიის დიდ ქალაქებსა და საფრანგეთში. აღზარდა კარგი შვილები. ბოლშევიკურ წნეხში მოქცეულმა ნახა გაჭირვებაც, განიცადა შვილების გარდაცვალებით გამოწვეული ტკივილი და აღესრულა ქუთაისში.

დღევანდელი გადასახედიდან თითქოსდა წამიერი იყო მისი ცხოვრება იმ სამხარ ღრუში, მრავალი ალმას-ვლითა და დღამ დაშვებით, სინარულითა და ტკივილებით ..."

მასალა მოამზადა ხათუნა ბენაშვილმა



ზ ა ტ ი მ რ ო ბ ა შ ე ე ფ ა რ დ ა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის პირველი საჯარო სკოლის დირექტორი და პედაგოგი მწიგნობარს გამოთქვამს ღვაწლმოსილი პედაგოგის

თეზრო აფციაურის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ბიძაშვილები : მიშა, ნათელა, დარიკო, თინიკო, მაყვალა თეთვაძეები; რძლები: ნანული დიასამიძე, მაია ოქროსაშვილი, იზა გონაშვილი, დალი ქუსიკაშვილი; ბიძაშვილისშვილები: ზურიკო, ზაზა, ნატო, რომანი, სოსო თეთვაძეები, ნოდარი, კახა ნიკოლაიშვილები, ვაჟა ალადაშვილი ოჯახებით იუნჯებიან რესპუბლიკის დამსახურებული აგრონომის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის

შალვა თეთვაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ შვილს ზურაბს და შვილიშვილს-ლევანს.

ქალაქ დედოფლისწყაროს N1 საშუალო სკოლის 1989 წლის კურსდამთავრებულები იუნჯებიან ისტორიის მასწავლებლის

თეზრო აფციაურის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

დედოფლისწყაროს სოფლის მეურნეობის სამმართველოს ყოფილი თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ნანა აფციაურს მამიდის

თეზრო აფციაურის

გარდაცვალების გამო.

დედოფლისწყაროს სოფლის მეურნეობის სამმართველოს ყოფილი თანამშრომლები-თამაზ ჯანიკაშვილი, ნანა ჭიჭინაძე, ნანა აფციაური, მერაბ ფიროსმანაშვილი, ჯემალ კვანჭილაშვილი, ივერი ჭუჭულაშვილი მწიგნობარებით იუნჯებიან ბატონ

შალვა თეთვაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მისი ოჯახის წევრებს.

გაზეთ „შირაქის“ თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ქეთევან მჭედლიშვილს მეუღლის

ზასიკ გივილაურის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას განსვენებულის ოჯახს.

დედოფლისწყაროს საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების ყოფილი თანამშრომლები, ექიმები: გულიკო პოპიაშვილი, ნინო ნელაური, ვასიკო სამადაშვილი, ექთნები: ეთერ შიუკაშვილი, ზაირა ტოკლიკიშვილი, ლამარა გოგილაშვილი, ნინო ლომიძე, მერი ხომეზური მწიგნობარს გამოთქვამენ განყოფილების გამგის

ზინა კალურის

გარდაცვალების გამო, ასევე სამძიმარს უცხადებენ ზაირა ტოკლიკიშვილს შვილის

ბალას

გარდაცვალების გამო.

ციური გოგილაშვილი, ვალერი, ზურა, ნინო იაკობიშვილები ოჯახებით სამძიმარს უცხადებენ ნოდარ გურაშვილს მეუღლის, შვილებს: მიშკო, მამუკა, ანა გურაშვილებს დედის

ციური სანიაშვილის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „შირაქის“ თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ზურაბ თეთვაძეს მამის

შალვა თეთვაძის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას განსვენებულის ოჯახს.

თამარ ქადაგიშვილი, ვასიკო, მაია, თამაზი თეთვაძეები იუნჯებიან

შალვა თეთვაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ზურა და თინიკო თეთვაძეების ოჯახებს.

ელგუჯა თეთვაძე, ნათელა ბოსტაშვილი, დათო და ლევანი თეთვაძეები ოჯახებით სამძიმარს უცხადებენ ზურა და თინიკო თეთვაძეების ოჯახებს მამის

შალვა თეთვაძის

გარდაცვალების გამო.

ავსტრალიის მოქალაქის, შანი ბრუკის დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის საქმეზე ბრალდებულ რაფაელ მურსაკულოვს ალკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა. აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ არსენ კალატოზიშვილმა გამოაცხადა.

ბრალდების მხარე რაფაელ მურსაკულოვის მიმართ ყველაზე მკაცრი ალკვეთის ღონისძიების გამოყენებას, დაცვის მხარე კი დაკავებულის საერთოდ ალკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვებას ითხოვდა.

საქმის პროკურორი გიორგი ქობულაძე აცხადებდა, რომ დაკავებულის მხრიდან როგორც მიმალვის, მტკიცებულებების განადგურების, ასევე მოწმეებზე ზემოქმედების საფრთხე არსებობს. პროკურორის თქმითვე, რაფაელ მურსაკულოვმა სცადა და გაანადგურა მტკიცებულებათა ნაწილი, დანაშაულის იარაღი მხოლოდ დანის ტარი იქნა ამოღებული.

ქობულაძის თქმითვე, ბრალდებული წარსულში ნასამართლევი, რაც მას ახლა გაქარწყლებული აქვს. თუმცა, პროკურორის განმარტებით, წარსულში მის მიმართ სხვადასხვა შელავათი იყო გამო-


ყენებული, თუმცა, მან ახალი დანაშაული მაინც ჩაიდინა. პროკურატურის შუამდგომლობას არ დაეთანხმა დაცვის მხარე და მან დაკავებულის ალკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვება მოითხოვა. როგორც ადვოკატმა სოფიო გოგლიჩიძემ განმარტა, მისი დაცვის ქვეშ მყოფი არსად მიმალულა. არაოფიციალური ინფორმაციით, რაფაელ მურსაკულოვი წარსულშიც ნასამართლევი იყო, მას ქურდობას ედავებოდნენ.

ჩადენილი დანაშაული სასჯელის სახედ და ზომად 16 წლიდან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოსათხოვარი

შალვა თეთვაძე

დედოფლისწყაროს ინტელიგენციას კიდევ ერთი ღირსეული ადამიანი გამოაკლდა. 85 წლის ასაკში, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა შალვა თეთვაძე, რომელმაც გრძელი და საინტერესო გზა გაიარა. მან თავისი ნიჭით, მიზანსწრაფულობით და შრომისმოყვარეობით დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და ბევრი რამ გააკეთა დედოფლისწყაროს რაიონისთვის. სწორედ მისი ხელმძღვანელობით გაიხსნა მის მშობლიურ სოფელ სამრეკლოში პროფესიული სასწავლებელი, რომელსაც წლების განმავლობაში ედგა სათავეში და ერთ-ერთი ძლიერი სამჭედლო იყო სოფლის მეურნეობის პროფესიის მუშაკთა კვალიფიკაციის კუთხით. თავისი კვალი დაამჩნია რაიონის სოფლის მეურნეობის აღორძინებას სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე მუშაობისას, იყო მეთესლეობის სამმართველოს უფროსი და სხვა მრავალი საპასუხისმგებლო სამსახურის ხელმძღვანელი. ის გამოირჩეოდა საქმის ცოდნით და ერთგულებით, მთელი რაიონის სოფლის მეურნეობა ხუთი თითით იცოდა და სიცოცხლის ბოლომდე მემკვიდრედ ითვლებოდა. განონასწორებული, თავდაჭერილი, პუმანური და კეთილშობილი ადამიანის სახელს ატარებდა. განათლებული და განსწავლული იყო არა მარტო თავის დარგში, არამედ ზოგადადაც. მასთან საუბარი მუდამ საინტერესო იყო. კარგი ოჯახი დატოვა - ორი შვილის, სამი შვილიშვილის და ექვსი შვილთაშვილის პატრონს არ აკლდა ყურადღება და პატივისცემა. დაე, მშვიდად განისვენოს მისმა სულმა მეუღლის - ლეილა მანავაძის გვერდით, რომელიც ძალიან უყვარდა. უფალმა დაუმკვიდროს მათ ნათელი .



მემოზრები და ახლოზრები

მონატრება

ნელი ღვინიაშვილი

ჩვენთვის ძვირფასო მეგობარო, ჩვენო ნელი, წელს პირველად მოვიდა უშენოდ შენი დაბადების დღე - 76 წლის გახდებოდი. გილოცავთ! მოვედით შენს საფლავთან, აგინთეთ სანთლები და მოგილოცეთ დაბადების დღე, რომელსაც ჩვენ სულ ერთად აღვნიშნავდით. ერთი გვექონდა ჭირი და ლზინი, ერთად გავიზარდეთ ამ უბანში, ერთად გავლიეთ მთელი ცხოვრება, ვმეგობრობდით ოჯახებით და ჩვენი სიყვარული და ურთიერთპატივისცემა აქედან მოდიოდა. რა დასანანია, რომ ასეთი მოულოდნელი იყო შენი ამ ქვეყნიდან წასვლა. შენ სხვისი გამოჯანმრთელებისთვის ზრუნავდი, მაგრამ შენ თვითონ ემსხვერპლე ამ ვერაგ დაავადებას. ბევრი ეცადნენ შენი შვილები - გოჩა და მიშკო შენს გადარჩენას, მაგრამ ვერ მოერივნენ კოვიდის ვერაგობას. ილოცე შენი შვილებისა და მათი ოჯახებისთვის. ჩვენო ნელი, დღე არ გავა, რომ არ მოგიგონოთ და თვალები ცრემლით არ აგვევსოს, გვენატრები და ვლოცულობთ შენი სულისთვის, რათა ნათელი დაგიმკვიდროს უფალმა და განისვენო იქ, სადაც მართალნი განისვენებენ. იძინე მშვიდად, ჩვენს გულეში მუდამ გექნება შენი ადგილი.

შენი მეგობრები:

დალი ლეკაშვილი, სვეტა ლომიძე და ნაზი მოსაშვილი.

თამრიკო ცოგოშვილი

ჩვენთვის უსაყვარლესო მეგობარო, 70 წლის გახდებოდი. შენმა ადრეულმა გარდაცვალებამ დიდი სევდა და სულში შეუფხვებელი სიცარიელე დაგვიტოვა. შენ ხომ სიყვარულის და სიკეთის ფრქვევისთვის მონოდებული გული გქონდა. ჩვენი მეგობრობა აღამაზებდა და ამრავალფეროვნება ჩვენს სიცოცხლეს. მაგრამ თამრიკო, ჩვენო ძვირფასო მეგობარო, ფიზიკურად განშორების მიუხედავად, სანამ ცოცხლები ვართ, მუდამ თვალწინ გვყავხარ.

ყველასათვის მოულოდნელად წახვედი, დატოვე ლამაზი, შინაარსიანი სიცოცხლე და გადახვედი მარადისობაში, სადაც ყველა ჩვენთაგანის სამუდამო სასუფეველია.



ლალი ბასილაშვილი, ლია ნათელაშვილი, სვეტა არქანოვა, მზია ქისტაური.

ფაქტები რთველის შესახებ

შემოდგომა ყველაზე მხიარული დროა მათთვის, ვინც ღვინოს აწარმოებს, რადგან ერთ-ერთი ყველაზე ძველი და მნიშვნელოვანი ქართული ტრადიცია, რომელიც საუკუნეების მანძილზე ნამდვილ დღესასწაულად იქცა და ჩვენი კულტურის ნაწილი გახდა, სწორედ შემოდგომაზე აღინიშნება.

რთველის ისტორია

ყურძნის დაკრეფა და დანერგვა არა მხოლოდ შრომა იყო, არამედ სრულიად განსაკუთრებული რიტუალი. რთველისთვის გლეხები მზადდებდნენ ადრე იწყებდნენ რეცხვადნენ ქვევრებს, ამზადებდნენ მარნებს და მზიან ამინდს არჩევდნენ. ყურძნის დაწურვა კი საოცარი ქორეოგრაფია იყო, რომელიც ხელიხელგადახვეული ბიჭების მოძრაობის რიტმი სანახელოში - სიცოცხლის მარადიულობას განასახიერებდა.

ალბათ ბევრმა არ იცის, რომ ძველად, რთველს - სთველი ერქვა. ნაყოფის მოკრეფის პროცესს ორი განსხვავებული სიტყვით აღნიშნავდნენ: მოსთვლა და მოწილვა. პირველმა სიტყვამ ცვლილებები განიცადა, მეორე კი უკვალოდ გაქრა. მოსაკრეფ ვენახს სასთულელებს ეძახდნენ. ყურძნის დაკრეფის დრო მის ჯიშსა და ამინდზე იყო დამოკიდებული. ადრინდელ საქართველოში, ყურძენს ოქტომბერში კრეფდნენ

და წურავდნენ. სწორედ ამიტომ ერქვა ოქტომბერს - სთუელის თვე და ღვინობის-თვე. ღვინის გემოსა და ხარისხს მემარნე აფასებდა. ეს მნიშვნელოვანია მოსთვლის თავისებური აპოთეოზია. მშვენიერი ფერ-ხულია, თანახმიერებით და თანადგომით გამოირჩეული. სანახელს სხვადასხვა მხარეში სხვადასხვა სახელი ჰქონდა: ქართლ-კახეთში მას ნავსაც უწოდებდნენ, იმერეთში, სანახელი და ონჯარო, რაჭაში

- ხორგო და ჩაჭრილა, გურია-სამეგრელოში-ოჭინახი, ჯირაქვა და ჯერუკი. ყურძნის დანერგვას თავისებური წესები და ტექნოლოგია აქვს. მწურავი ცდილობს ჭაჭა და კლერტი სანახელოში დარჩეს, წვენი კი ღარში ჩაედინოს. XIX საუკუნის ორმოცდაათიან წლებში კახეთში ამ მიზნით „სანახელის ლატანს“ (საბა) იყენებდნენ. ამ ლატანს თუ ლასტს ერქვა ტოპკირი. ტოპკირი საცერის მსგავსი მოწყობილობა იყო. რაღა

თქმა უნდა, საქართველოს ყველა კუთხეში ყურძნის წურვის თავისებური გამოცდილება არსებობდა. ვთქვათ რაჭაში იყენებდნენ სანახელს, რომელსაც ჭაჭრაკი ერქვა. ჭაჭრაკი საკმაოდ რთული მოწყობილობა გახლდათ. სირთულის თვალსაზრისით მას არც სხვა რაჭული სანახეი - წვერი ჩამოუვარდებოდა. საერთოდ, სანახე მოწყობილობებს საქართველოში თავისი ისტორია აქვს. ყოველ კუთხეში განსხვავებული სტრუქტურის მქონე მოწყობილობები არსებობდა. შესაბამისად მათ თა-

ვიანტი სახელწოდება ჰქონდათ. უძველესი სანახეი იყო საქაჩავი, იგივე საქაჯავი, ან საქაჯველი, რომელთაც აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთში ხმარობდნენ. ჭაჭრაკს (უკვე ვახსენეთ) რაჭის გარდა გურიაშიც იყენებდნენ; წვერის შესახებ უკვე ვისაუბრეთ; არსებობდა კიდევ ხარხინი, იგივე ხარხინი. ესენი იმერეთსა და რაჭაში გამოიყენებოდა. ბუნებრივია, ყურძნის წვენს აწყვაც სჭირდებოდა, ე.ი. გარკვეული ტევადობის საწყაო. ამიტომ ძველად საქართველოში სანახელი არა მხოლოდ დასახელებს მოწყობილობად მოიაზრებოდა, არამედ საზომის ერთეულადაც იყო ნაწარმული. ყურძნის წვენის ოდენობა ყოველთვის მკაცრად იყო განსაზღვრული. გარკვეული დროის განმავლობაში ღვინის ესა თუ ის მარაგი უნდა ჰყოფნოდა ოჯახს. სხვა საწყაოთა შორის ყველაზე მეტად გავრცელებული იყო კოკა და ჩაფი. დასტურ-ლაშალის მიხედვით, შულავრის მოურავს ყოველწლიურად სანახელიდან ერთი კოკა ტკბილი ერგებოდა, ნაცვალს - ორი ჩაფი უნდა ჰვდომოდა წილად. ღვინის საზომი ერთეულები იყო აგრეთვე კოკა, ბათმანი, თუნგი. ქვევრის ტევადობა კოკათა რაოდენობით განისაზღვრებოდა.



მ ო ვ ა მ გ ა დ ე ბ

მოვამგადავ მოსწავლეებს სასკოლო საგნებსა და ბერძენულ ენაში (სასაუბრო ენა), აგრეთვე შიშვანთაში ფორტაპიანოზე დაკრას. მსურველები დაგვიკავშირდით ნომერზე 577 54 36 68

ი ყ ი დ ე ბ ა

რუსული წარმოების საკერავი მანქანა (ფახის) მსურველები დაგვიკავშირდით ნომერზე 577 54 36 68

მ ა დ ლ ი ე რ ე ბ ა

ამ უხილავმა მტერმა, რომელსაც კოვიდი ჰქვია, იმძლავრა და იშვიათია ოჯახი, სადაც ვერ შეაღწია. დიდი სიფრთხილის მიუხედავად, კოვიდი მეც შემხვდა მსუბუქ ფორმაში, მაგრამ, იმის გამო, რომ ვენების პრობლემა მაქვს, დედოფლისწყაროს საავადმყოფოში დანოლა მომიწია. სიმართლე გითხრათ, ნამდვილად არ ველოდი ასეთ ყურადღებას და კვალიფიციურ მომსახურებას - ექიმები, ექთნები, სანიტრები, ყველა მობილიზებულია, ზედმიწევნით შეასრულეს თავისი მოვალეობა და არა მარტო თავისი მოვალეობა, არამედ უანგაროდ შეეხილნენ ერთმანეთს საჭიროების შემთხვევაში. მიუხედავად იმისა, რომ საავადმყოფოს კვების ბლოკი არ აქვს, ხელშეკრულების საფუძველზე, პაციენტების კვება მაღალ დონეზეა ორგანიზებული. ეს ყველაფერი კი რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელის ხათუნა ზურიკაშვილის და მოადგილის ვანო ნატროშვილის დამსახურებაა. მინდა, პაციენტების სახელით, თითოეულ მათგანს დიდი მადლობა ვუთხრა იმ შრომისა და თავდადებათათვის, რომელსაც ისინი იჩენენ თითოეული ავადმყოფის მიმართ. საზოგადოებამ კი იფიქროს, რომ დაიცვას ყველა რეგულაცია, რომელსაც ექიმები გვიჩვენებენ და მაქსიმალურად აიცრას ყველა, ვისაც ჯანმრთელობა ამის შესაძლებლობას აძლევს.

მადლიერებით, მზია სანინაშვილი

უ ლ ო ც ა ვ ე ნ !

ნ ა ზ ი მ ო ს ა შ ვ ი ლ ს !

ძვირფასო მეგობარო, ეს წელი შენი საიუბილეო წელია, 80 წლის გახდი და ჩვენ გვიხარია, რომ ისევე ისეთი მხნე და ოპტიმისტი, კაცთმოყვარე და კომუნისტური ხარ, როგორც მთელი სიცოცხლე. მრავალშვილიან და ხელმოკლე ოჯახში დაბადებულმა სწორედ ამ თვისებებით მიიქცეე საზოგადოების ყურადღება და იპოვე შენი ნიშა. ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში, სხვადასხვა პოზიციაზე ყოფნისას, ერთგულად ემსახურე რაიონის მოსახლეობას და მათი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურე. შენს შრომით საქმიანობას მუდამ თან სდევდა ბევრი სიკეთე და ქველმოქმედება. დღეს, დამსახურებულ პენსიაზე მყოფი, ბედნიერი ხარ და ხარობ შვილთან და შვილიშვილებთან, ნიაკოსა და ალექსანდრესთან ერთად. მოსიყვარულე დედას და ბებიას, საუკეთესო მეგობარს და მეზობელს კვლავაც მხნეობას, ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს გისურვებთ.

სიყვარულით და პატივისცემით, მეგობრები:
ლამარა ჭუჭულაშვილი, იანა იანვარაშვილი, ფიქრია ალიკოშვილი, ნაირა გორაშვილი, ნანული ნატროშვილი, ანგელინა ლორაშვილი.

ნ ა ზ ი მ ო ს ა შ ვ ი ლ ს !

ნაზი, ჩვენო თბილო მეგობარო, სიყვარულით გილოცავთ საიუბილეო თარიღს-80 წლისთავს. ჯანმრთელობას და ახალგაზრდულ ენერჯის გისურვებთ. წლები თქვენზე არ მოქმედებს. სულ ასეთი მხნე, ხალისიანი და გახარებული გვენახეთ საყვარელ შვილთან და შვილიშვილებთან ერთად!

„შირაქელები“

ს ვ ე ბ ლ ა ნ ა შ ა ლ ვ ა შ ვ ი ლ ს

საქართველოს მასშტაბით გამორჩეულ საუკეთესო დირექტორს, თხემით ტერფამდე ინტელიგენტს, ყველა თაობის მასწავლებელთა მასწავლებელს, ღირსების ორდენის კავალერს, ი.გოგებაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატს, სხვადასხვა რეგალიების მფლობელ ქალბატონ სვეტილანას ვულოცავთ დაბადების დღეს- 10 სექტემბერს.

საუკეთესო სურვილებით და პატივისცემით

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია, საკრავულო და მნიშვნელოვანი ასოციაცია.

ლ უ კ ა (ბ უ რ თ ა) ლ ა ე ა შ ვ ი ლ ს !

ჩემო საყვარელო ლუკა, გილოცავ დაბადების დღეს! 12 სექტემბერს 5 წლის გახდი და პირველი ნაბიჯები უნდა გადადგა ახალ საფეხურზე-შენ სკოლის მოსამზადებელ ჯგუფში იწყებ სწავლას. წარმატებებს გისურვებ, იყავი ჯანმრთელი და ბედნიერი შენს უფროს დაიკო ლიკასთან, მშობლებთან და ახლობლებთან, რომლებსაც ძალიან უყვარხარ.

შენი ბებია
ნაზი მოსაშვილი

ა მ ი ნ დ ი		დ ე დ ო ფ ლ ი ს ც ყ ა რ ო				
ორშაბათი 13.09 დღე ღამე	სამშაბათი 14.09 დღე ღამე	ოთხშაბათი 15.09 დღე ღამე	ხუთშაბათი 16.09 დღე ღამე	პარასკევი 17.09 დღე ღამე	შაბათი 18.09 დღე ღამე	კვირა 19.09 დღე ღამე
25°	15°	26°	16°	27°	17°	26°
15°	26°	16°	27°	17°	26°	15°
23°	14°	24°	15°	23°	14°	24°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებს პასუხს ავებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: შუშუნა ყანაშვილი (ყურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათია ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინო ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ძინძაძე (საქმეთა მწარმოებელი);
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.